# ბახტრიონი

ფასი 10,000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 13 | ორშაბათი 2 ოქტომბერი | № 13


## ამ ნომერში ექვსი გვერდი


# მუშათა მთლიანი კოოპერატივი

## (ЕРКООП)

## თბილისში

ამით აუწყებს ამიერ-კავკასიის, ჩრდილო-კავკასიის და სპარსეთის სახელმწიფოებრივ თუ კოოპერატიულ დაწესებულებებს ან კერძო პირებს, რომ მუშ. მთლ. კოოპერატივის გამგეობის მიერ დადებულია ხელშეკრულობა საზღვარ-გარეთის ცნობილ დიდს ფირმასთან შემდეგ საქონელის რეალიზაციისთვის:

| | | |
|---|---|---|
| მანუფაქტურა | სატყავო მასალა | ქაღალდი |
| ფეხსაცმელი სხვა და სხვა | შუშეანი | საკანცელარიო ნივთები |
| გალანტერეა | ჭურჭელი | შაქარი |

### სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ტეხნიკური საგნები.

მთლ. მუშ. კოოპერატივს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება ზემოხსენებულ საქონლის სერეალიზაციო წარმომადგენლობისა საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო-კავკასიაში და სპარსეთში, სადაც მოკლე ხანში გაიხსნება საგანგებო განყოფილებანი ხსენებულ საქონლის გაყიდვისათვის.

ბათუმში უკვე გვაქვს პირველი დიდი პარტია **გუთნების** (სხვა და სხვა) **საკვის** ტიპის სიმინდის საწმენდები და ფარცხები, ამ დღეებში ეს საქონელი თბილისში ჩამოდის ეს საქონელი იყიდება გაცილებით იაფად ვიდრე ბაზარზე.

### ყიდვის პირობების გაგება შეიძლება:

| | | |
|---|---|---|
| 1. მუშ. მთლ. კოოპერატივის გამგეობაში თბილისი კირჩის ქ. № 7. გამგეობის წევრის ი. ს. მელიქიშვილთან ადრესი დეპეშისთვის: თბილისი—ერკოოპი. | 2. ერკოპის ცენტრ. საწყობში. სომხის ბაზარი, ბამბის რიგები. ყოფ. პასსაჟი მანთაშევის, ტელეფ. 1 40 საწყ. გამგესთან გ. ლ. რომენდიკთან. | აქვე შეიძლება საქონლის ნიმუშის ნახვა. |

მოკლე ხანში ბათუმში მოვა გემი დიდი საქონელით.

**მთლ. მუშათა კოოპერატივში მიღებულია ახალი საქონელი საზრის ფასებზე იაფი გაცილებით.**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კართოფილი | 2.000 მან. | კაკაო | 80,000 მან. | საპ. ტოლლე | 29,000 მან. | ლობიო | 4,000 მან. |
| შაქრ. ფხვნილი | 25.000 „ | საბზა | 18,000 „ | „ მარსელ. | 34,000 „ | ბრინჯი | 15,000 „ |
| ჩაი სხ. და სხ. | 80.000-200.000 მ. | გარგარი | 7,000 „ | საპირფარ. | 10,000 „ | ფქვილი თეთრ. | 14,000 „ |

ამ კვირია გამოვა გასაყიდათ ყველა მაღაზიებში.

**მოსკოვის მანუფაქტურა**

**ყოველდღიურად მაღაზიებში:** თეთრი პური 1 ხარისხის 10.000 მ. გირ. შავი პური წმინდა კახ. ფქვილ. 5.000 მ.

**სარძევე-გასტრონომიულ მაღაზიებში.** 1) პუშკინის ქ. 5. 2) პიროგოვის, 1. 3) მიხეილის, 93. 4) ვერისა და ოლღას კუთ. 5) მიხეილის, 5.

ყოველდღე გვაქვს გასაყიდან **რძე 6.000** კრუჟკა, საკუთარ ქარხნების ნაწარმოები. ერბო, კარაქი, ყველი, ხაჭო. არაჟანი და ძეხვეულობა.

**თევზეულობის მაღაზიაში:** პუშკინის ქ. 5. ყ. **ძეგველოვის** — **ყოველნაირი თევზეული** უმაღლესი ხიზილალა გირვანქა 120.000, აგრეთვე დიდძალი დამარილებული თევზეული.

**ყველა მაღაზიებში:** გარდა სარძევის, ღვინის და თევზეულობის ვაჭრობა ხდება, **განსაკუთრებით** საწევრო წიგნაკებით დამატებითი საპაიო გადასახადით 100,000 პაის შეტანისას მიცემულია ვადა 1 ოქტომბრამდე 50,000 და ოკტომბერსა და ნოემბერში 25.000, პაის შეტანის დროს საწევ. წიგნაკ. უნდა ჩაიწეროს შესაფერი მარკ. ჯგუფობრივი შეტანილობა მესტკომებ. მიიღება გამგეობაში, კირჩის ქ. 7 მესამე სარ.

**ამ დღეებში მთლიანი მუშათა კოოპერატივი გამოუშვებს დიდძალ საქონელს, გაცილებით იაფს, ვიდრე ბაზარზეა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადავლის დაბრუნება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდება ინტერვიუ რუსეთიდან ქართული სიძველეების გადმომტან ტეხნიკურ კომისიის წევრის ბ-ნს ჯგუშიასთან.

როგორც ირკვევა, ქართულ სიძველეთა ჩამოტანის საქმეს სასტიკად ეწინააღმდეგება რუსეთის სამეცნიერო აკადემია. ჩვენ აღარას ვიტყვით ძველ მოხელეებზე, როგორებიც არიან; ოლდენბურგი, ბარტოლდი, ბრაუდ. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია საზიზღარი საქციელი ბ. ნ. მარრის, რომელიც დიდს კომპანიას აწარმოებს ქართულ სიძველეთა რუსეთიდან ჩამოტანის წინააღმდეგ.

ნ. მარრთან ერთად ამ შოვინისტურ ჯგუფმა განაცხადა რომ: „მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმში შემთხვევითი შემოსული საქართველოს სიძველენი არ მოიპოება და რაც მოიპოება მხოლოდ მესამე მუხლს ექვემდებარება რომლის ძალითაც საქართველოს არ შეიძლება დაუბრუნდესო“.

მეტია ლაპარაკი იმ შემთხვევითი საგნების შესახებ, რომელნიც შეადგენენ რუსეთის სიძველეთა არქივების ორგანიულ ნაწილს.

მეტია ლაპარაკი თუ რა დიდ ღირებულებას წარმოადგენენ გინდაც მარტო თეიმურაზ ბატონიშვილის და იაონე გრუზინსკის მდიდარი კოლლექციები, რომლითაც დღეს სამართლიანად ამაყობს რუსეთის სამეცნიერო აკადემია.

რად სჭირდება ბ—ნ მარრს დატოვება რუსეთში უძველეს ქართულ მანუსკრიპტების, რომელნიც ტეხნიკურ კომისიის დადასტურებით ჯერაც არ არი გადაფურცლული ამ ასოცი წლის განმავლობაში, რადგან მისით რუსეთში არავინ იყო დაინტერესებული წარსულში და დღეს მით უმეტეს. იქნებ თავისთვის სამეცადინოდ სჭირდება ამ დეზერტირს, მაგრამ როგორც ცნობილია უკანასკნელ ხანებში ბ—ნი მარრი გრუზინოლოგიიდან ხომ ატლანტიდებზე გადავიდა.

სამეცნიერო აკადემიის შოვინისტური შემოტევის შემდეგ, ჩვენი საკითხი გადატანილი იქმნა სრ. რუსეთის ცენცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რომელსაც 20 ივლისის სხდომაზე დაუდგენია: გადაეცმა საქართველოსთვის იმ რეგალიებისა და სიძველეების რომელნიც დღეს რუსეთის მუზეუმებსა და სიძველეთა არქივებში ინახება.

მიუხედავად ამ დადებითი დადგენილებისა, ჯერჯერობით როგორც სჩანს დაზამთრებამდე თბილისში ჩამოვა მხოლოდ 1914-15 წ. გატანილი არქივები და მუზეუმები. მართალია ამ არქივებში ინახება დიდძალ ქართული მასალებიც, მაგრამ მათში სჭარბობს იმპერიალისტურ რუსეთისგან კავკასიის დაპყრობის ძეგლები. რა საჭიროა ჩვენთვის პირველ რიგში გამოგვიგზავნონ მაგ, ერევანის კარის ბჭის ქვა, რომელიც პირველი აფეთქდა რუსული დინამიტით?

ან ის აუარებელი პორტრეტები რუსი ჩინოვნიკების რომელთაც ორი საუკუნით გახრწნეს არა თუ ჩვენი, მთელი ამიერ კავკასიის ცხოვრება. რაც შეეხება ნამდვილ ქართულ სიძველეთ რაც ასე საჭიროა კერძოდ ქართული უნივერსიტეტისათვის, და რასაც ჩვენ რუსეთის ნადავლს ვუწოდებთ,— ერთს წლამდე კიდევ ვერ ველირსებით და ამ საქმეს თურმე კიდევ მოელის დიდი დაბრკოლება რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა და კერძოდ ნ. მარრისაგან.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ველარ გაგვიგია, თუ არსებობს რუსეთის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის დადებითი რეზოლიუცია რაღათ უნდა მოელოდეს მას კიდევ სერიოზული საფრთხე; მით უმეტეს რომ არც ერთი ამ ძეგლთაგანი არ არის შესყიდული რუსეთის ძველი მთავრობის მიერ; ყველა ეს, ან მოხელეების მიერ ნაძარცვია ან დატოვებულია რუსეთში გადახვეწილ ქართველ მეფეებისა, ბატონიშვილებისა და დიდებულებისაგან.

ეს უდიდესი საუნჯე კულტურისა არ ეკუთნის რუსეთის დახავსებულ ბიუროკრატებს. ეს არის საკუთრება ქართველი ხალხის, რომელსაც უდავოდ და უკლებლივ უნდა დაუბრუნდეს. **გ.**

## ღვთის მშობლის ტირილი სიონში.

ჩამოეკიდა საწყალ მთვარეს სანთელი ხათრით,
უნდა რომ გაყვეს პროცესია ყველაზე ნაზი.
სიონის ასულს სანთლის კვამლში მოპარეს ხატი.
ატირდა მორცხვი წმინდანებით მოფენილ ქვაზე.

ო, გადაეკრა მთვარის ფიფქი ასულის თვალებს.
მწუხარე დებიც გადაფრინდენ წვიმიან კვირით.
მიყვება ხატი მოწყენილი ობის ნაკვალევს.
ობი სიონსაც გადააყრის დანესტილ ქვირითს.

და ყეფს საოცრათ შავ კალთასთან ძაღლი სოველი,
ძაღლი ციური და ვარსკვლავზე გადანარბენი.
(დაიწერება ქალბატონზე ახლა ნოველა)
მხოლოდ ასული სპლინისაგან დარჩა ნაკბენი.

იდუმალ ბაღებს ღამის ლორწი დანამავს ხარბათ.
ო, ვინ გაყვება წამებამდე ქუჩას მტვერიანს.
ტირის ასული. სინანულით ტაძარიც დალბა.
არის სამება: ობი, მთვარე და ისტერია.

შალვა აფხაიძე.

## ქართულ სიძველეთა ჩამოტანისთვის.

**(ინტერვიუ ბ. ჯგუშიასთან)**

„საბჭოთა საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად მე აღვძარი შუამდგომლობა საბჭოთა რუსეთის სათანადო ორგანოების წინაშე და წინასწარი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადაწყდა მოწვეული ყოფილიყო მოსკოვში შემათანხმებელი კომისია რუსეთის სამეცნიერო აკადემიის, საქართველოს და საბჭოთა რუსეთის სახ. განათლების კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ კომისიის სხდომა გაიმართა სწორედ მაშინ, როდესაც მოსკოვში ჩამოვიდა საქართველოს სახალხო განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი, რომელიც გამოძახებული იყო მოწმედ ესერების პროცესზე. ამხ. კანდელაკი დაესწრო ამ კომისიის სხდომაზე, როგორც საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი.

გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც 3 უმთავრეს მუხლს შეიცავდა. ეს მუხლები ძალიან ბუნდოვანად იყო გამოთქმული და მათი გაგება სხვა და სხვა ნაირად შეიძლებოდა. აღნიშნულ კომისიის მთავარ მიზანს შეადგენდა გამორკვევა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის შეხედულებისა ამ საკითხისადმი.

ამ კომისიის დადგენილების თანახმად, გადასწყდა მოწვეულ ყოფილიყო პეტროგრადში ტეხნიკური კომისია რუსეთის სამეცნიერო აკადემიის 4 წარმომომადგენლის, საქართველოს 3 წარმომადგენლის მონაწილეობით და საბჭოთა რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრის წარმომადგენელის თავმჯომარეობით. ამ კომისიას უნდა მოეყვანა სისრულეში მოსკოვის კომისიის დადგენილება.

1 მუხლის თანახმად საქართველოსათვის უნდა დაებრუნებიათ 1914 და 1915 წლ. ჩრდილოეთ კავკასიაში გადანილი არქივები და სამუზეუმო კოლექციები გარდა იმ საგნებისა, რომელნიც კავკასიის შთამომავლობისანი არ არიან.

— 2 მუხლის თანახმად საქართველოს უბრუნდებოდა ყველა ის საგნები და კოლექციეაი, რომელნიც შემთხვევით მოხვდენ საბჭოთა რუსეთის სხვადასხვ დაწესებულებებში და მუზეუმში არ შევიდენ სამეცნიერო ხმარებაში და აქვთ წმინდა ადგილობრივი, ქართული მნიშვნელობა.

— 3 მუხლი გულისხმობდა ყველა იმ სიძველეებს და სამუზეუმო კოლექციებს რომელნიც შევიდენ საბჭოთა რუსეთის მუზეუმებში და არქივებში, როგორც **ორგანიული ნაწილი**, და აქვთ მსოფლიო მნიშვნელობა. პრინციპიალურად იყო ცნობილი, რომ აღნიშნულ კატეგორიის საგნები დარჩენილიყო საბჭოთა რუსეთში გარდა იმ საგნებისა, რომელსაც აქვს ადგილობრივი, მხოლოდ საქართველოსათვის მნიშვნელბა.

აღნიშნულ ტეხნიკურ კომისიაში საქართველოს მხრივ დანიშნულნი იყვენ: პროფესორი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა და მე. სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელმა—აკადემიკოსებმა **მარმა, ოლდენბურგმა, მარცოლდმა დს ბრაუდომ**, გადაჭრით გამოგვიცხადეს, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმში **შემთხვევით** შემოსული საქართველოს სიძველენი არ მოიპოვება და რაც მოიპოვებმ მხოლოდ მესამე მუხლს ექვემდებარება, რომლის ძალითაც საქართველოს არ შეიძლება დაუბრუნდეს.

ჩვენ არ დავეთანხმეთ სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელთა აზრს და დეკლარაციულად გავიცანით ჩვენი თვალსაზრისი **შემთხვევით საგნებისა** და კოლექციების შესახებ, რომლებიც შეადგენენ სიძველეთა არქივების **ორგანიულ ნაწილს**, რის გამოც საქართველოს ყველა სიძველენი, რომელიც საბჭოთა რუსეთში იმყოფება, მეორე მუხლის ძალით უნდა დაებრუნებიათ საქართველოსთვის აზრთა სხვადასხვაობას მოჰყვა შედეგად ის, რომ ჩვენ წინაშე წამოიჭრა შემდეგი ამოცანა: საკითხი გადატანილი ყოფილიყო ორივე რესპუბლიკების ცენტრალურ ხელისუფლებათა ხელახალი განხილვისათვის. ეს ამოცანა ჩვენ მიერ შესრულებული იქმნა. პეტროგრადის კომისიამ გამოიტანა დადგენილება შეკითხულ ყოფილიყო ორივე რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლება ამ საკითხის შესახებ უფრო სწორი დირექტივების მისაწოდებლად.

ამავე დროს მე აღვძარი შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე და ამ უკანასკნელის 20 ივლისის სხდომაზე

# ქართველი პოეტი ქალები

არის წერილი ინოკენტი ანნენსკის „они и оне“ დაწერილი ავტორისათვის ჩვეულებრივ სითბოთი და გულწრფელობით. აქ მოცემულია ორი პათოსი, ორი ტემპერამენტი სამყაროს პოეტურ შეცნობის როგორც ორი სხვავებულ საწყისის შემოქმედების პროცესში. ვაჟური განათება საგნის და ქალური შეხებამის. რუსულ პოეზიაში ადგილი იყო ასეთი ხაზის გატანა, არიან პოეტი ქალები, რომელთა პოეზიაში ჩამჯდარია ქალის სინაზე და თავისებური მისვლა ობიექტთან, საკუთარი ფსიქოლოგია და ასოციაცია ნივთების და იდეების

ქართულ პოეზიაში არის ქალური სინაზის და ნაივობის ხაზები უთუოდ, მაგრამ არ არის ის, რაც იძლევა პოეტ ქალის ნერვს და ფოსფორს. ერთი ელენე დარიანი, რომელმაც ქალური ღიმილი შეიტანა სტრიქონებში არ არის საკმარისი შექმნას რკალი თავის თავში დასრულებული.

რასა ქალური უთუოდ და მინანქრის ჩრდილ მოვლებული ვერ გაიხსნა პოეზიაში, რომელიც ქალის მხურვალე გალიუცინაციით იქნებოდა დაპუდრული, ვინაიდან პოეზია პოეტის გალიუცინაციათა სისტემატიზაციაა უმეტესად.

არის ეპოქა სურნელოვანი დაცემის მოლოდინით და უეცარ ატირებით, ეპოქა განწირული და მომცემი უკანასკნელი აკორდის, რომელშიაც მაღალ უვერტიურების პათოსი დასრულდა დამწვარ პროლოგების ცეცხლით.

მეთვრამეტე საუკუნის წლები, რომლებმაც მწუხარებით გადაიფრინეს საქართველოს ცა ლურჯი და უტოლო. დრამის დასასრული და მოწყვეტილი ფარდა.

საკმაოა მანძილი და შესაძლოა ფარდის ახდა. იყო საუკუნე მაღალი და განუზომელი იდეებით და აღდგომის წყურვილით. ქართული ხმლის პირთან ხდებოდა ქართული მეცნიერების და ხელოვნების ორგანიზაცია.

მისი მადლი და ბარაქა ელოდა გაშლას.

ამ საუკუნეს ყველაფერი უწყობდა ხელს გამხდარიყო მეორე მწვერვალი, ვინაიდან იყო გამძაფრებული გრძნობა ეროვნულ სიამაყის და მოწოდების.

წრე და ატმოსფერა რომანტიკით შენელებული, მოგონებანი წარსულ დღეების დიდების და ბრწყინვალესი, როცა აზიის შორეულ უდაბნოებიდან მოდიოდენ ძვირფასს ნადავლით დატვირთული ქარავანები.

და შემდეგ მობრუნება კაროსელის და ყველა იმედების დაწყვა. როგორ გადატყდა თანამედროვეთა თვალში ეს კატასტროფა? როგორი იყო ყველაზე უფრო მძაფრი ტკივილის ანარეკლი პოეზიაში? ამას აქვს ისტორიული და ამასთანავე კულტურული მნიშვნელობა.

სოველია ახლაც ცრემლით ყოველი სტრიქონი იმა დროების მაჯამის თუ გაფის

არის რაღაც აუხსნელი და იდუმალი ფაქტში, რომ ყველაზე უფრო მწვავედ ეს პოლიტიკური კატასტროფა დაიტირეს ერეკლეს ასულებმა. სამი ასული ძვირფასი გვარის ბაგრატიონთა და სამი ცრემლი დაცემული დაკეცილ დროშაზე. დაკარგულ გვირგვინზე და საქართველოს თავზე ატირებული პოეზია— სამი დის.

ჯერ გაურკვეველია ქონდა თუ არა ამ ხასიათის დრამებს ადგილი ქართველ მეფეთა ოჯახებში, რომელნიც უფრო ხლართავენ და აბნელებენ ისედაც ბალასტით სავსე ბიზანტიის ისტორიას.

საკმაოა პერგამენტის ფურცლები, რომლებიც ფენენ სურნელებას სამი სანთლისას, რომლებმაც ასეთი სიყვარულით და ჩაწვდომით დაიგლოვეს საქართველოს წარმხდალი დიდება და სიამაყე მისი.

მარიამ, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილები. პირველი პოეტი ქალები, ვინაიდან ჯერ სახელია მხოლოდ დარჩენილი ვორომისია ბერიძის, რომლის სურათს თამარაშვილის ალბომში ასეთი წარწერა აქვს: „გურული კეთილშობილი დედაკაცი, პოეტი მეტად ნიჭიერი და საქებელი სხვა და სხვა სათნოებისთვის“. ნაწარმოები კი ჯერ უნახავია.

სამი ასული ახლო იცნობდა თანადროულ პოეზის მიღწევას და პირადი დამოკიდებულებაც ჰქონდათ ეპოქის სტილის გადამღებთან ბესარიონ გაბაშვილთან, რომელმაც თავისი გული და გრძნობა დაამღერა მეფის წულს ანას, მათ მამიდას.

პოეზიის ცოდნის გამომხატველია უთუოდ მათივე ლექსები, განსაკუთრებით მარიამ ბატონიშვილის, რომლებშიც სჩანს ავტორის ტალანტი უექვო და ცოდნა ლექსის ტეხნიკის და სულის.

მათი ლექსები გამოფენაა ტკივილების და ჭრილობების, რომლებითაც დაიფარა საქართველოს ტანი ჩრდილოეთის ქარის მიერ განიავებული.

მათს ლექსებში არის მძაფრი გრძნობა და განცდა ხალხის რომელმაც დაჰკარგა ყოველივე და ამასთანავე უხეში ძალა მიერეკებოდა შორეულ ტიაგებში და ყინვის უდაბნოებში.

საოცარი ოსტატობით არის შეკრული ფერები და დაჭიმული ნერვები ყოველი ლექსის. აქ შეიძლება სუნთქვა ცხოველი ეპოქის გარდასულ ძიმწარის, შხამის. და თქმა არ უნდა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ლექსის ყალიბი მისი ფორმალური მხარე. მაგრამ უეჭვოა როგორც ტემპერამენტი აწყვეტილი, რომელიც დაქვითინებს დაცარიელებულ პალატების დარბაზებს.

ყოველ ლექსში მოცემულია სევდა თაფლის, მარტოობის წინაგრძნობა, მამულის განწირვა და ქვესკნელის მოლოდინის საშიშროება.

ასულთა ყოველ ლექსში გამოტირებულია წალკოტის წარსული დიდება სადაც იყო შვება და სიხარული.

მეტი უშუალო ტკივილი მეტი გულწრფელობა და პათოსი წამების არის მარიამ ბატონიშვილის ლექსებში. ლექსი მისი გამართულია უფრო ტეხნიკითაც. აქ უკვე ბესიკის ლითონის ხმა ისმის ყრუთ.

„იგრგვინვა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა, დაჰფარნა ჩრდილო ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა,

საყურადღებოა საქართველოს სიამაყის შეგნების გამძაფრება და მოთქმამამულის განიავებით და ნამუსის ახდით გამოწვეული სევდა გადადის უფრო ღრმა განცდაში, და სცვლის ძირეულად პოეტის ორგანიულ შეცნობას როფლასას.

„ნუ ვინ ეტრფობით სოფელსა ნია, დაგ მუხთლად მწარებსა“.

საკმაოა ისტორიულ დისტანციის წარმოდგენა ოდნავ რომ გაცხოველდეს სავსებათ ატმოსფერა წვერზე დასულ მზის და საყვარელ კულტის აფეთქების, რომელმაც ასე თანაგრძნობით და ქალური სინაზით აალელვა პოეტის გული.

საყურადღებოა მარიამის ერთი ლექსი აგრეთვე, რომლის ფაბულად ოჯახის ერთი შემთხვევა არის აღებული. ძმას მოუყვანეს სალოლედ ყაბარდოს მთავარის ასული, რომელსაც მონათვლისას ნინო დაარქვეს. იგი იზრდებოდა მეფის პალატებში. მამულს დაშორებული დაავადმყოფდა და ტუბერკულოზის ხველების მუსიკის ქვეშ გარდაიცვალა.

ლექსი დაწერილია რუსთაველის ზომით და რიტმით, და იმავე გულწრფელობით და სიყვარულით არის გამთბარი.

მხოლოდ აღსანიშნავია, ერთი სტრიქონი: „იესოს ქრისტეს სძლათ ექმნა, უმანკო დაუჭნობელად“. სტრიქონში გადატეხილია უთუოდ შეგნება ეროვნული დანიშნულების და მისიანიზმი. მეფის წული—იესო ქრისტე.

არის გრძნობა ინკვიზიციის და წამების ქალური ინტიმით შეფერილი ქეთევანის და თეკლეს ლექსებში. საქართველო პოეტ გიორგი ლეონიძის ლაპიდარული თქმით „თვითონ გიენა და გეენა პოეტებისთვის.“

და საყვარელია პირველი ცრემლები გიენის დამტირებელი.

**შალვა აფხაიძე.**

## მარიამ ბატონიშვილი

მეფის ირაკლის ასულის მარიამ ბატონიშვილისაგან თქმული თურქთა ხმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი.

I

ა. ჵი დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხერა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დასჭთრგუნა ჩემი დღე კეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქვს ხრმალ წვდილობა.

ბ. მზის მჰსგავსნი სხივნი ღრუბლით დაჰფარეს,
მიჯნის სიცოცხლე ნალღუის უმწარეს,
ჩემსა მომლხენსა ვერ ვჰსჭვრეტ მთოვარეს,
ამად ვჰზი და ვჰსტირ, ვღვრი ცრემლს მდუღარეს
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს
მრისხანეთ ჯალათ აქვთთ ხმალ წვდილობა

გ. ედემის ბაღსა ზრდილნი ყვავილნი,
ვარდნი კოკობნი ნაზად გაშლილნი,
გულ დამატკბობლად ახლად ფურჩვილნი
ვაჲ მე უწყალოდ ჰჴყჾს აღმოფხურილნი
შარად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი
ნუ მჰგმობთ თუ მათთვის მაქვს ცრემლ ნილობა.

დ. ჩრდილოს კერძმან საბავთოს ქარმან
მძვინვარედ მქროლმან დადაუწყნარმან
ჩემნი მცირებნი ჰყო გარის გარმან
მიმოაბნივნა შავბედის ღჳრმან
ვინ ვპოვო შემწე მე მათთვის მკვდარმან
სახმილი მშრიტოს მცის გულს გრილობა.

ე. დასდასად მწყობრნი დაუნდობელნი
მუხთლად მქცევ მრავლად ლხინთა მცხრობელნი
სხჳა და სხჳად მქცევნი ურთერთს მჰსწრობელნი
კეთილ სუნნელთა ყჳვილთ მზრობელნი
უცნობთა პატიჲთ მქნელ მომთხრობელი
ჩემად საკჳდავად ქჳსთ შეყრილობა.

ვ. ჩემი წალკოტი აღყჳავებული
ყჳვილთ სიმრავლით განშვენებული
იქმნა ამად ვჰსტირ ცეცხლ მოდებული
ოთხ კიდე სახელ გადიდებული.
ვაჲ მე მათგან მოოხრებულნი
ვის შეხჳდა მათი მოადგილობა.

ზ. ეჰა მაღრიბის მანათობელნო
ჩემის გულისა მაცოცხლებელნო
ვინ მოგიმძლავრა ტკბილ სამფლობელნო
მარიხს შევჰსტირე მამღრუბლებელნო
გკადრებ ქვეყანის შემამკობელნო
ყარიბრ დამჰშრიტე გულს სახმილობა.

## მარიამ ბატონიშვილი

ა. მოვჰსთქვამ სულთქმითა საბრალოდ, ძნიად სათქმელსა ჭირებსა,
მჰსმენელთა შესაწყალებლად, ჭმუნვათა გასახშირებსა.
ვარდთა დასხმულთა ედემით, მჭჳრეტელთა გასაკვირებსა
ავ კიდეგანთა მამულთა სამყოფთა განამწირებსა.
მიგლოვდით მეცა მოყჳასნო სოფლისა განაწირებსა
ბ. იგრგვინვა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა
წარჰხდეს წალკოტნი მაღალნი, ჵი საცთურითა ძნელითა
ვაი დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელითა
აწ განწირული უწყალოდ ვიწვი ცეცხლითა არა ნელითა,
სად ხარ სიკჳდილო რას ჰყოჴნი არ მიმცემ დღესა მცირებსა

მიგლოვდით მეცა...
აწჳჾ ჰშთასრულსა...

გ. დაბრუნდა ეტლი უკუღმა წარხდა დღე კეთილ დღიანი,
დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი სვიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლაუ ნადირაძის ლექსები

## პატრიოტული მესსა.

ვინ დაითვალოს იმედები ჩვენ რომ დავკარგეთ;
ბევრი ვარსკვლავი ალბათ დაჰქრა ჩვენ ხეტიალში;
და დატვირთული იძირება გემი ფოლადის.
მივდივართ ისევ: დაიცვითა ოქროს სამოსი:
ძმებო ანდერძი ვგონებ არ დარჩეს,
და საფლავებიც ვერვინ მონახოს!
მართლა ჩქარი, დაუნდობელი:
ზრიალი მიწის არ შეჩერდება,
და გამხმარ ზურგზე ეგების შერჩეს
პირამიდები და სფინქსის თავი.
ვისააკივლებს მცირე ამბავი?
ყველა ვადები დაილევიან,
ჯვარზე გაკრული, დაობებული
დასცვივა ფერფლათ სხეული მჩატე, დაბერებული.
არ ინახება დაკარგული კუბო თამარის;
და მახჭოლებით გადასერილ გელათის კედლებს
დარაჯათ უდგას იმერეთი გადაცვეთილი,
გადაკეტილი სურამის ქედით.
ეგებ არა ღირს გაგრძელება ამ მცირე ამბის;
ეგებ ტირილიც გადაგვარდეს, და დარჩენ ობლათ:
ჩვენი ცრემლები, სისხლიანი, ჩვენი ძარღვები...

25|IX 1922 ტფილისი.

## ოცნება საქართველოზე.

დავიწყებული ძველი ფონები;
შავი კედლები დიდ ციხეების;
ჩვენი დიდება მოსაგონები;
შედიხარ ჩუმად. გრილი ტაძარი...
მოთავლისფერო სახე მამების.
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი;
და შავი ხატი წმინდა სამების.
ნიშანი ბედის-კარზე ნალები.
სახურავები დახავსებული.
და ღვთის მშობელის მოგრძო თვალები,
უმანკო სევდით ამოვსებული.

## პატრიოტული ეკლოგა.

მე საქართველო მაგონდება ისევ ტკივილით:
მისი წარსული უიმედო და მომავალი.
დღეს ცივი ქარი დაგტრიალებს მწარე კივილით,
სამშობლო ბრიყვო, რომ იტვირთე უმადლო ვალი.
დაბერებული, მოჩვარული და ნაწამები
კიდევ ბევრ ჯვარცმას გადაიტანს შენი სხეული,
ო, კიდევ ბევრჯერ შენ ცრემლებით დაინამები,
და კიდევ ბევრჯერ დაგიტირებ თვალდახეული.
უკანასკნელად შენ მერგები მე არჩევანში,
მაგრამ არ ვდარდობ ორგულობას, რომ მელოდება.
საბედისწერო გამტყუნდება ჩემი რევანში.
და არ იქნება შებრალება, არც შეცოდება.
გაუტანელი შენი გული დღეს ვის არ ელტვის.
და მხოლოდ ჩემზე შენი მტრობა აღარ დასცხრება.
და სამუდამოთ უწამები დარჩება შენთვის
ჩემი ტირილი, სიყვარული და დამარცხება.

## ბალდახინი.

შევალ „Notre Dame“-ში მოლუნული როგორც იუდა;
დიდი ქუჩების ავხორცობით ტანდადაღული;
ვიცი ვერლენი მონანებით აქ მოდიოდა.
რომ დიდი ცოდვა შეევედრა გადანახული.
შემომხედავენ წმინდანები დატვირთულ ცქერით;
აკანკალებით იმათ სახელს ჩავაშტერდები;
მლოცველთა ზურგებს ეფინება ყვითელი ფერი:
დავთვალე შიშით ქარვისფერი ქრისტეს გვერდები.
ისევ ღვთისმშობლის გალიმებას გავეკიდები;
შევკადრებ მხოლოდ: „ქალბატონო, ახ, ჩემი გული!“
და თუ ავტირდი—მე მლოცველებს მოვერიდები,
რომ სხვაზე მეტათ არ ვეგონო მათ დაკარგული.
როცა ქუჩებში ნოემბერი დადის წვიმებით,
იქნება სცივათ მაშინ გამხდარ, უბინო ძაღლებს!
თეთრ ბალდახინზე ქანაობენ სერაფიმები,
მიასვენებენ მოქალაქეს ყველაზე ნაკლებს!
ვინ შეგვახვედრებს, ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს?
დიდია ღამე... ვინ გადახდის სახლებს სახურავს?
მხოლოთ პოეტი გაბრაზებით დაცლის სტრიქონებს
და ჰლექიან ცოლს წაუკითხავს ღმერთზე მომდურავს.
მივმართავ ჩემ თავს მონოლოგით და ვეტყვი ასე:
„თქვენ, სულო ჩემო, საცოდავი ხართ როგორც ბავში!
რისთვის არ მოგწონთ ეს ცხოვრება და სიძვირფასე?
წავიდეთ ერთად, ჩუმათ ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში.
მე თქვენ ოქროს თმებს გადაგვარცხნი იქ მორიდებით,
თეთრ კიბით მოგრთავთ, დაგიკოცნით მცივანა ფეხებს;
და თუ ქალაქმა გადაგვრეკა თავის დიდებით—
წავალთ და მტრედებს გადაუყრით პურის ნატეხებს.
გრამაფონის ხმა (უკვდავია მომგონი მისი!)
ჩვენ მოგვესმება სახლებიდან ნელი ხრიალით,
და თუ დაგვიდგა დღე მზიანი და სამაისო—
დაუართ ლეკურს თავმომწონე ცეკვა ტრიალით!..

**წერილები კოლაუ ნადირაძის პოეზიაზე მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.**

## ვირების მესია

თქვენც იცით, ვირები კეთილი ხალხია,
თვით ქრისტეს ყოველთვის უყვარდა ისინი.
მაგრამ დღეს მათ სულში სევდების ალხია
და როცა ტირიან, ბავშები იცინის.

ამიტომ ვიფიქრე (სჯობს სიტყვა აშკარი)
გავექცე გრძელ ღამის მომაკვდავ ფარვანებს.
შევკრიბო მებრძოლი ვირების ლაშქარი:
სიცოცხლე მოუსპო ქედმაღალ მტარვალებს.

მე ესე ამბავი არ მინდა საკვეხნათ:
მენდობა ვირები, მიცნობენ მისიანს.
ო, ახალ მესიას მოიყვანს ამ ქვეყნათ
ჩოჩორი, რომელიც ვაჩუქე ტიციანს.

ჩემს ძველ წინაპრებს ბევრი მადლი დაუთესია,
მაგრამ არც ერთი არ ყოფილა გვირგვინოსანი.
თუ დამიჯერებთ, არც მე მინდა ვიყო ფრთოსანი
რადგან ვირობა, ვიცი ხშირათ უკეთესია.

უცხო სევდები ვით კალია შემომესია,
ალბათ იმიტომ რომ არა ვარ ჯერ ვიროსანი,
მაგრამ ვირების სხვებზე ადრე გავხდი მგოსანი
და მე ვიქნები უსათუოთ მათი მესიაც.

გამხადე ღირსი ამ სურვილის ღმერთო მაღალო—
ჯერ არაფერი ასე გულით არ მინატრია.
მეყო რაც ბედმა უსავანო უგზოთ მატრია.

აღარ მსურს ეხლა მქონდეს რამე სხვისი საღალო,
ოღონდ მესმოდეს ხმა მეხური ჩემი ვირების
რომ შევასრულო მათ წინაშე დანაპირები.

**რაჟდენ გვეტაძე.**

## „მთვარეულები“

სანდრო ცირეკიძე. „კირჩხიბის“ გამოცემა.

არის წიგნები რომლებიც მხოლოდ პოეზიისთვისაა ძვირფასი და საყვარელი.

ასეთი წიგნები იმდენათ არიან დაწმენდილი რომ ისინი ცოცხლობენ მხოლოდ მათ ხელში ვინც მოშხამულია პოეზიით—სხვებისთვის ისე უჩინარი და გაუგებარია. შესაძლოა ეს იყოს ყოველი პოეტის უკანასკნელი სურვილი.

ასეთი სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“ თერთმეტი მინიატურა და ერთი რომანი ავსებენ წიგნს, რომლის გამოცემას ოსტატის ხელი ატყვია.

ცირეკიძე უკანასკნელი სიტყვაა ქართულ პროზაში. ქართულ პროზისთვის ახალი გზა იწყება და ამის შემდეგ წარმოუდგენელია საქართველოში პროზა, როდესაც არ ახასიათებდეს სიტყვის ყნოსვა და მითი გახელება. ეს ახასიათებს „მთვარეულების“ ავტორს. ყოველ სიტყვაში ხედავთ, რომ ცირეკიძე მკაცრი მსაჯულია მისი და ვიდრე წინადადება დასრულებულ სახეს მიიღებდეს, მას შემოქმედებითი ორგანიზაციის ლაბორატორია აქვს გავლილი.

ცირეკიძეს აქვს თავის პრინციპები კომპოზიციის. სტრიქონები ჩქარა თავდება წერტილით. მაგრამ წინადადება დასრულებული და ნათელია. ყოველი სტრიქონი სინტეზია მრავალი წინადადების რო მელიც შეიძლებოდა დაწერილიყო. და მხოლოდ ამ სინტეზებს გვაჩვენებს ცირეკიძე.

ქუთაისი თავისი ნანგრევებით და სპლინით არის შორეული ფონი მინიატიურების. მათი ნამდვილი ძალა არის სიქალწულე და ის სითბო რომლითაც პოეტი ავსებს სტრიქონებს. ძნელია ამორჩევა მინიატიურების. ყოველი მათგანი ღირსია ავტორის კეთილშობილი სახელის. წიგნში ცალკე სდგას „ლაია“ ეს მეორე პოლიუსია, ჯერ გაუშლელი, სანდრო ცირეკიძის შემოქმედებაში. ეს არის წარმართული სამყარო. „ლაიას“ სტრიქონები გამაძღარია მზით. ეს მინიატიურა გასაოცარია ცირეკიძის შემოქმედებისათვის ის თითქოს შემოჭრილია უცარი შთაგონებით და ამიტომ ჯერჯერობით მარტო დარჩა.

„მთვარეულებმა“ დაგვანახა სამყარო ჯერ არავისგან ნახული. ცირეკიძის თვალმა სხვანაირათ დაინახა ის და თავისებურათ გადმოგვცა. ეს გამარჯვებაა ყოველი მხატვარის. ცხოვრება, საგნები, ნივთები დანახული საკუთარი თვალით, ისე როგორც არავის სხვას, სავსებით ამართლებს ყოველ მხატვარს.

სხვა ბედნიერებასთან ერთად სანდრო ცირეკიძეს აქვს კიდევ ერთი. მის პატარა ტომებში “ლომისისეული„ კრიტიკოსები ვერ დაიწყებენ საზოგადოებრივ საკითხების ან მორალის ძებნას. მათთვის ცირეკიძე გაუგებარი იქნება, ხოლო პოეტებისათვის—ყოველთვის ახლო და ძვირფასი.

**სერგეი კლდიაშვილი.**

## რომანი უპერსონაჟებო

ერთ ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია არსელ ფაბრის წერილი „რომანი უპერსონაჟებო“ მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

„ზოლას ტყვიისფერი ლანდი ახჩობს ყველა თანამედროვე რომანებს; ეს არის საღრჩობელა პერსონაჟებით: ეს ლანდი სდევნის ყველა დიდს რომანებს

ჯერ კიდევ არის ორი სამუდამო იმედი: ახალი გარეგანი მისვლა. დამახასიათებელი პიროვნება, გაშიშვლებული, შაჰმული კარიკატურამდე. არა. აქსესუარები არ ქმნიან დრამებს. აქსესუარების ღირებულება განსჯის გარეა. მაგრამ განა საჭიროა, რო მათ დაუმორჩილო მთელი ქმედითი ნება. გარეგანი სიახლე უნდა იყოს, მაგრამ თავის ადგილზე, ესე იგი, მეორე რიგზედ.

რომანის ინტრიგა და მოქმედი პიუები ჩვენ გვგონია რომ უკვე განწირულია (საჭიროა თუ არა დაუმატო რომ მხატვრობამ ამოაგდო „სიუჟეტი“ და რომ იქიდან „ანეკდოტი“ გადევნილია.) ამიტომ გახდა საჭირო გაჯანსაღება. ამოშლა მოქმედ პირებისა. ფიზლი ანტრიგის. შეიძლება არარობამდე მიიყვანო სიუჟეტი, მაგრა რით გააცოცხლო ინტერესი?

რომანი, როგორც სხვა თანადროული ხელოვნებანი მოწყურებულია თავის ბარბაროსებს. ახალი სისხლის მოხეთქა არის საჭირო დღევანდელ დაღლილობისათვის.

მგონი არ ვიყავით პირველები იმ ფიქრის, რომ ბრბოები—გიპერციფილიზაციის ჩვენი სტადიისა, -კიდევ ატარებენ თავისში (ინსტინქტის პრიმიტივიზმი) დაუხარჯავ ძალებს; რაც ერთხელ კიდევ გააცოცხლებს შემოქმედებას.

მოქმედი პირი უნდა შეიცვალოს ბრბოთი, სადაც პიროვნება ამიერიდან ანონიმიური იჭერს მხოლო მოქანავე ატომის ადგილს. მსოფლიო სცენაზე ბრბოები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. სოციალურ მასსების სულ დიდი და დიდი შეჯახებანი იძლევიან ლიტერატურულ მატერიალს, როგორც არმიის შეტევა. ლიტერატურა, რომელიც ყველა ეპოხების ქარგაზე ქსოვდა ომის მოთხრობებს, სულ ახლა ხან მივიდა ადამიანთა ჯგუფების არსის მხილებამდე მაგრამ ეს ყველაფერი იყო გამომჟღავნებული ნაწარმოებებში მოქმედი პირებითურთ. ბრბო მათში—ფონი იყო.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ახალს რომანში სივრცხე იხდება ელასტიური, მკითხველის იძულება ჰქრება.

რომანი ევროპიელდება, ხდება მსოფლიო. ეს რომანია ადამიანების და არა რომანი კაცის. ინდივიდუუმი ქრება. და თითონ ავტორიც იკარგება თავისი ნაწარმოების საკირეში. მაგრამ ის არ უარყოფს თავის თავს. მას აღარ გამოჰყავს თავისი თავი საჩვენებლად, აღარ იჭერს პოზიციებს. და ის შორდება ბრბოს ღრიალს, მის კოლლექტიურს ჰალლიუციანციებს, მის ვნებებს. ის განაგებს. ის არა მცირდება იქამდე, რომ გახდეს სარკე ბრბოების, რომელშიც, როგორც ნატურალისტებთან საზოგადოებას ყოველთვის შეუძლიან თავისი თავი დაინახოს. ის ახდენს ბრბოს ანარეკლს თავისში, თავისით და ხელახლად ხდება პიროვნული.—

რადგანაც ნივთები და აზრები—ორგანიზმებია, გარეგან ჩვენი გრძნობებით რო საზრდოობენ. ისტორია უბრალო ჩაქსოვებაა ერების სულიერ მდგომარეობის: ზავის, ომის და რევოლიუციის. შესაძლებელია, რომ მშვიდობიანობა ორჯერ უფრო სჭარბობს ორს უკანასკნელთ.

ომი სტვირთავს ისტორიას დიდი საპალნით, რევოლიუციაც სცდილობს ამნაირი ადგილი დაიჭიროს!. ზავი სხვა არაფერია, როგორც ჩემი მზადება ომისთვის და ყრუ ცდა რევოლიუციის თავიდან აცდენისთვის.

მომქმედში ყოველთვის იხედება მხოლოდ ერთ ერთი ფაზი, ორი—იშვიათად, სამი კი—არასოდეს. მზრუნველობა მთლიანობისთვის, რომანის შეუთავსებლობა მოქმედ პირებთან.

რომანი უპერსონაჟებო ნებას იძლევა არაფერი განიდევნოს მოქმედების გულისათვის.

სულ ახალი რომანი „l'Inconnu sur lés villes“ ხდება ამ საუკუნის პირველ მეოთხედში (1900—1925) შესაძლებელია რომ ეს თარიღი ისევ გამოურკვეველი იყოს ასი წლის შემდეგაც.

ამნაირად, არ არის ადგილი და დროც ძლივს ძლიობით არის დანიშნული. უნდა დაუმატოთ რომ უპერსონაჟებო რომანის წყალობით, თუ ჩვენი თეორია უკიდურესობამდე მივიყვანეთ, შეიძლება შეიქმნას, ყველაზე, ფართო, ყველაზე გაუგონარი ნაწარმოებები: რომანი პლანეტების, რომანი ნივთების; და შეიძლება ვიოცნებოთ რომ გვექნეს რომანი კოსმოგონიური. მაგრამ ეს ჯერ ადრეა. რომანის ძაფში ჩვენი ნებით დავკარგეთ სახიდან ურგები ალგებრაული დამოკიდებულებანი მისთვის, რომ ძიებათა ნაცვლად გამოგვემჟღავნებინა ადამიანში გამოუცნობი. ჩვენ ვერ ვიპოვეთ იმ მიზეზით, რომ იგი აღარ არის ადამიანში, რომელიც ჩვენთვის უკვე აღარ არსებობს. მაგრამ სოციალურ მოზღვავებათა წყალობით, ჩვენი ძიებანი გამარჯვებული გამოდგა.„

## თეატრი საფრანგეთში

ომის შემდეგ ფრანგულ თეატრში ხდება ნელი რევოლიუცია. მისი საფუძველია—საზოგადოების გულგრილობა ომამდე არსებულ თეატრისადმი. ნამდვილი თეატრალური წარმოდგენები რამდენიმე ასამდე თუ ადიოდა, მაყურებელთა რიცხვი კი რამდენიმე ათეულს არ აღემატებოდა.

თეატრის „სპეცების“ აზრით კი ამ ჟამად მაყურებელთა რიცხვი 5000-მდე დის. ეს არის უმცირესი ნაწილი იმ აზოგადოების, რომელიც ყოველ საღამოს იჩქარის პარიზის თეატრებისკენ, მიუზიკ ხოლლისკენ, კინემოსკენ, მაგრამ არსებობს ცენტრი—და ეს არის სწორედ მთავარი. თეატრებს, რომლებსაც „თეატრ-ბულვარებს“ უწოდებენ, არ შეუცვლიათ თავისი რეპერტუარი. ომის შემდეგ ეს თეატრები ხშირად ქანაობდენ და ხშირად ცვლიდენ სპექტაკლებს მაგრამ ავტორებმა, რომლებსაც შეწყვეტილი ჰქონდა წარმოება, ისევ განაახლეს თავისი მუშაობა. გამოჩდენ ბატაილის, ტრისტან ბერნარის და სხვათა პიესები. ამ ძველ სახელებს შორის თანდათან ახალი სახელებიც ჩნდებიან. მაგრამ უმთავრესად მოხუცები ისევ იცავენ ჟანრს.

მთელი ეს წარმოება თითქმის ეცემა. ძველი რაშები დაღლილობას იჩენენ, მაგრამ არც ახლები ჩქარობენ თავისუფალ ადგილების დაჭერას. მით უკეთესი. მაგრამ რა ჰკლავს ბულვარის თეატრს რომლის ექსპლოატაციას ასე მოხერხებულად აწარმოებდენ ჭკვიანი და გაქ, ნილი ადამიანები ამა ქვეყნისა? ხელოვნება თეატრის? არა. მას კლავს კინემო და მიუზიკ ხოლლი, რომელთაც დიდი სიყვარულით ეტანება საზოგადოება. კინემატოგრაფი უფრო ცოცხალ შთაბეჭდილებებს იძლევა, ვიდრე თეატრი.

მთელი საღამოს განმავლობაში იგი იძლევა სიცილს, ცრემლებს პეიზაჟს, დოკუმენტალურ ფილმებს, თანამედროობას, მეცნიერებას. მელოდრამის მოყვარენი აქ იღებენ საყვარელ განცდებს, იმათვის კი ვისაც მელოდრამა არ უყვარს, რჩება რამოდენიმე სასაცილო ფილმა. ახლა ყველა დარწმუნდა რომ კინემო არის ხელოვნება, ყველაზე უფრო თანადროული და დაკავშირებული თანამედროვე ცხოვრების რიტმასთან.

რაც შეეხება მიუზიკ ხოლლის, მას უეჭველად შეუძლია თეატრში ახალი ელემენტების შეტანა. როგორი იქნება ახალი ფრანგული თეატრი? სოციალური? არა მგონია. ფრანგების უმეტესობისთვის უკვე ცნობილია პოლიტიკური ემოციები. მან უკვე მოიწყინა ეს მოციები ამ ასი წლის წინათ. ინტელიგენტური თეატრი? როგორც უკვე აღნიშნული იყო, იგი 5 აქტში შეიცავს იმას, რაც შეიძლება მოთავდეს ფილოსოფიის სახელმძღვანელოს ერთ გვერდზე. ამასთანავე ფრანგებს არ უყვართ, როცა მათ იდეების სახით აწვდიან საერთო ადგილებს. ამავე დროს მიუზიკ ხოლლი იძლევა უფრო მდიდარ საყურებელ მასალას, უფრო მრავალ მხრივს, მოფიქრებულს და ფანტასტიურს.

მიუზიკ-ხოლლის, როგორც იგი ამ ჟამად პარიზში ესმით, თეატრი მიჰყავს

## იერუსალიმ..

ოი! სოლომონ.. იესო ნავინ..
ო! ვირსავია იყავით წმინდა.
მე ღამით ვნახავ იერუსალიმს
და იორდანე გულს გამიწმინდავს.
მომაქვს სანთელი და სახარება
ბარელიეფში სიმშვიდე აპისს.
გაბარებთ ყველას ძველ მწუხარებას
გავყვები დილას, ლაჟვარდებს, აპრილს.
გავივლი ლანდებს თეატრებ შორის
მოხრით სალამი უძველეს ქალაქს!
ძველი ღმერთები დამდევენ შორით
ვით სინანული ჩემს თავის ქალას.
მართებს სიფრთხილე დავითის მიწას
რომ ის სახსნელი არ იქნეს ჩემი.
(ეს ირონია ვგონებ იწამეს)
მე ამას ვშვრები ღმერთების რჩევით.
ანთებულ სანთელს ჩავაქრობ სადმე
ო, კლეოპატრა გაჩუქებ სალამს
იყო წარსული და ეხლა დავგმე,
მშვიდობა შენდა იერუსალიმ!..

ვიქტორ გაბესკირი.

## ქამელეონი

ლერწამის მტვრევით უყვართ ლოცვა დასისხლულ მხეცებს;
ჭაობაში მალავს შხამით გველებს დღე ალიონი
და დორბლ მორევით, ზანტი რბენით ხეებს დაეძებს
უმიზეზობით დაქანცული ქამელეონი.

გაჰქრა მანძილში თვალ დახუჭვით მზე ფარაონი;
სძინავს სიმაღლით, სძინავს ქვეყნით უგრძეს ხეებში;
ჭარბი მზეებით გალოთდება ქამელეონი
ჭრელი კაბებით მიწვეული ძილთან ქეიფში.

ახ, მან არ იცის თუ ჰაერში გაჩნდა შანთები;
თუ მედუზები ზღვის ხავერდში რა რიგ ბერდება.
დაცვეთილ ფარდას მალე დასწვავს ანდამანტები
და საუკუნე ვერცხლის ტბაში განახევრდება.

მრავალ ხმაურით დატვირთული მეტეორები,
დაყუდებული უხმო თვალით და მანდილებით
ძილით დაამტვრევს ულრან ტყეებს განმეორებით
და თვალს გაალებს სხვა სამყარო, სხვა გაზრდილებით.

ქამელეონი ატეხილი ცეცხლის ამბებით,
გამოილვიძებს, რომ იელვებს სხვა ეკვატორი
და მოირთება მარჯანების ფერის კაბებით
ძველი პაჟაცი, ტყის მეუფე, ძილის ბატონი.

სტეფანე კასრაძე.

## ოცნება სისუფთავეში.

როგორც ყანთარი შენთან მოვალ თავ ჩაქინდრული,
წრფელი ლოცვებით ჯვარზედ ცმული შენდამი ვხურვარ.
თუმცა ცოდვებს და ბოროტებას არ იცნობს სული
და სამოთხეშიც შესვლის ქინით არ ვწვალებულვარ...

თუ რამე ცოდვა გამაჩნია ისიც ყრმობაში
როდესაც სული უმანკოა, დღესავით ღია.
როს შაბათობით ნიავობით ფიქრთა წყობაში
მელანდებოდა: სეფისკვერი და ელოგია...

სხვა ცოდვებს სული ჩემი კიდევ არ იცნობს ჯერედ
ვარ ღვთის წინაშე მე სპეტაკი და უცოდველი,
დავრჩები წმინდათ სიკვდილამდი და დამიჯერეთ.
როგორც პირმშო შვილს შემიყვარებს მე ღვთისმშობელი...

დავით დოლიძე

## უნაპირო ფიქრები.

ვით ზევსის ტაძარს ვეგებები შემოსულ გემებს
ჩემი ოთახი ვიწროვდება ასეთ ფიქრებით;
აშლილი ვერძი კვლავ დაკარგვას რომ აიჩემებს
ბედის სახსნელად ჩემო მარგო ერთად ვიქნებით.

დღეს ყვითელ ნაპირს არ ახარებს ჩემი სიცოცხლე;
და გარდაცვლილი ილიადა ჭუჭყიან ყდებით,
ჩემთან შემოვა ვით უდაბნო-(ბევრს გააოცებს)
შორეულ გზებზე მოქანცულნი ერთად დავსხდებით.

ჩვენც გაგვახარებს ეს შეხვედრა ასე ხნიანი.
ახლოს იქნება საიდუმლოდ ბებერი ზევსი
ჩვენი სიცოცხლე გაიბნევა როგორც იანი
და განახლდება მოგონება უძვირფასესი.

გრიგოლ ლლონტი.

## სონეტი ჩემს თოფს.

ამ ბნელ ღამეში შენზედავარ-მე დანდობილი,
რუსულო თოფ,ო შენი ცივი ტანი მახელებს,
როცა მომიტანს მოგონება ძვირფას სახელებს,
მტრის ბანაკიდან გაიელვებს შენთან—შობილი.

შენ ყველასაგან დაწყევლილო და შენდობილო
შემოგხვევ მაგრად, გაფითრებულს სისხლიანს ხელებს
და როს გადისვრი სასიკვდილო ამონახველებს,
თავზედ კივილით გადაგვირბენს შენი დობილი.

ხარ ავაზაკი, უსამართლო მაგრამ უფლებით,—
ნუთუ ბოლომდის ავზნიანო ასე იქნები...
მკვლელი ხარ მეფის ან იქნება თავისუფლების,
არ ვიცი რისთვის ვიხუთები კანკალით შენთან,
ვიცი ეს მხოლოდ რომ ვკაინობთ ორივე ერთად.

ნიამორი.

## პოემიდან ,,მარაბდა.‘‘

...“და რქიან გველად იკლაკნოდენ ერის ეკრანზე
ბეჭზე დარტყმულ არწივებით, შინდის დროშები...
სიონის გუმბათს დაფლეთილი მღერით ეკრა მზე,
სად გიჟ გიორგის გადავარდნა მიდის დროს შვებით...

მიჰქროდა ლენტი... და ყიჟინა დამაყრუები
შორი ირანით ისმოდა ავ შაჰ—აბაზის.
მოსკდა მრისხანედ ნადენი სისხლის რუები,
და აიხატა ზე ჯვარცმა ზვავ საააკაძის.

თეთრი ზოლები აეკაზმა ლურჯას, ალვირზე,
და დაიკარგა მხედარი, დაუსვენები...
ატყდა მახვილი დედის წილ, ურჩად, საყვირზე—
მონასტრის კედლებს ვერ ეგუა დაის ენები...

ორი ალალმა აეტუზა რაინდულ მოდგმას,
და გადმოეშვა უცნობი რუქა უხსენი...
საით აეჭრა გმირთ აფრა დაბინდულ მოთქმას,
ლალი ჭენება, იდუმალ მუქად, უხვ სენის?!

ცეცხლის გრიგალი აღიმართა ნაშალი თმებით, —
ოდეს დაეცა მუხლებზე აზია ლავად...
აიქარგება ლეგენდა ახალ რითმებით,
რათა მიერთვას არმაზის ვაზი ალავად..

სეზმან ერთაწმინდელი

ფეერის გზაზე. მიუზიკ-ხოლმა ამოჰგლიჯა თეატრს ინდივიდუალური თავგადასავალი და მიიყვანა იგი დიდ დრამასთან დიდ პერსონაჟებით. ჯერ ჯერობით მთელი გავლენა ეტყობა ტეხნიკის რამოდენიმეთ გამდიდრებასა და დეკორაციის სხემატიზაციას.

ჩვენ რომ დავასახელოთ იმ ავტორების რიცხვი, რომელთაც ომის მერე სახელი დაიმკვიდრეს, აღმოჩნდება, რო მათი რიცხვი ძალიან მცირეა, იმიტომ კი არა, რომ ისინი არ არიან, უმთავრესად მისთვის, რომ მათთვის ძნელია თავისი სახის მხილება.

თეატრში ,,Oeuvre‘‘ დადგმული იყო ,,დიდებული რქის მატარებელი‘‘ ეს არის ტრაგიული ფარსი, გრანდიოზული და ბუტბნელი.

შარლ ლენორმანმა მოგვცა რამდენიმე პიესა. დრო-მხოლოდ ილიუზიაა. იგივე ბრძოლა ფსიხოლოგიის; განვითარებულია მთელი ფილოსოფიური სისტემა; ,,ავადმყოფობა სულის‘‘ იზრდება და მიდის ლოგიურ დასკვნამდე ლიუსვენ პომ აღმოაჩინა ჟანსარმენ; იგი ოცი წლისაზე მეტი არ არი, ერთი მისი პიესა დასდგა ფრანგულმა კომედიამ. ეს არის ,,კარტონის გვირგვინი და ლანდების მებადური.‘‘ ესეც ძალიან უახლოვდება ფსიხოლოგიურ თეატრს, მაგრამ მასშიც გარეულია თავისებური გრძნობა.

გარეშე ჩვეულებრივ თეატრებისა-ნამდვილი ხელოვნების თეატრები ცხოვრობენ და მუშაობენ მეტად მძიმე პირობებში. ვიე კოლმბეს თეატრში-ჟან კოპომ დასდგა გულუბრყვილო რამ ,,მოხუცი კრომედ‘‘ უთულ რომენის მაგრამ ამ პიესის დადგმაში ის დაკმაყოფილდა კლასიურის ახალ გადმოცემის ძიებით

,,Art et Action‘‘ ააგო თეატრი-ერდო მინიატიურით, მშვენიერი ტეხნიკური ხელსაწყობით დადგმული იყო ამასთან სიმულტანიური და ფუტურისტული პიესები სრულიად ახალი და მეტად თამამი.

მაგრამ გვაქვს ჩვენ თუ არა თეატრი დიდი მასშტაბის?

ამ როლში თითქოს რჩება ,,თეატრი ელისეის მინდორების.‘‘ მასში არის ყველაფერი, რაც საჭიროა მისთვის, რომ იყო პირველი საფრანგეთში. მან გვიჩვენა რამდენიმე შვენიერი დადგმა ლეჟეს დეკორაციებით, შვედური ბალეტი და მეტერლინკის ,,პელეას და მელიზანდა‘‘ „Вещь“)

# ლიტერატურული ქრონიკა

**ქართული გამომცემლობა საზღვარგარედ.**

პოეტი ნიკო მიწიშვილი კონსტანტინოპოლიდან ჩავიდა ბერლინში, სადაც მიუწვევიათ ქართულ წიგნის გამომცემლობის საქმეში ამ საქმეს. მეთაურობს მწერალი აკაკი პაპავა.

**პოეზიის აკადემია.**

ოქტომბრის შუა რიცხვეაში ხელოვნების სასახლეში გაიხსნება პოეზიის აკადემია.

**გაზეთი „ბარრიკადი“**

ახლო ხანში განახლდება „ცისფერი ყანწებისი“ ორგანო გაზ. „ბარრიკადი“ ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

**არტურ ლეისტის იუბილე**

არტურ ლეისტის იუბილეს დღეთ დანიშნულია 22 ოქტომბერი,—კონსერვატორიის დარბაზში.

**.,მეოცნებე ნიამორები‘‘.**

ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით გამოდის “(მეოცნებე ნიამორების„ მორიგი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ლექსები და წერილები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, შალვა აფხაიძის, სანდრო ცირეკიძის და გიორგი ლეონიძის.

**სანდრო ცირეკიძის წიგნი.**

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სანდრო ცირეკიძის წერილების წიგნი და აგრეთვე შარლ ბოდლერის პროზა მისი თარგმანით.

**იასამანის წიგნი**

რედაქციამ მიილო იასამანის წიგნი, ტომი პირველი. წიგნში მოთავსებულია 122 ლექსი, 1905—1922 წლამდე. წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე თან დართული აქვს ავტორის სურათი მხატვარი ქალის ვერა ლებედევას მიერ შესრულებული. შეიცავს 125 გვერდს და ღირს 60 ათასი მანეთი.

**ფიროსმანის სურათები**

ჩვენმა რედაქციამ საკუთარი ხარჯით შეიძინა რამდენიმე სურათი ნიკოფ იროსმანის;ნ მათ შორის აღსანიშნავია: „დიდ მარხვა“ და გრანდიოზული სურათი: „რთველი“ სურათები რედაქციაში ინახება.

**ჟურნალი „ხომალდი“**

ოქტომბერის შუა რიცხვებში გამოვა ჟურნალი „ხომალდი“ იგივე ძალთა მონაწილეობით.

**ქართული დრამატიული სტუდია.**

აკ. ფალავას ხელძღვანელობით არსებულ დრამატიული სტუდიის ლატარიის გამთამაშებელი საგანგებო კომისია, რომელიც შესდგება მთავრობისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან ქართველ ხელოვანთა მთავარი კომიტეტის თავჯდომარე კ. მაყაშვილის თავჯდომარეობით ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, ზემორეხსენაბული ლატარიის გათამაშება მოხდება ა. წ. 26 ნოემბერს.

აკ. ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიაში მეცადინეობა იწყება ოქტომბრის 2-ს.

**იუსტინე აბულაძის წიგნი.**

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა იუსტინე აბულაძის გამოკვლევა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანის შესახებ, სათაურით: მე-12-ე საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხის-ტყაოსანი“. ვრცელი ლექსიკონის, სიტყვათა და ცნებათა საძიებელის და პოემის შესახები საკითხების და ლიტერატურის დამატებით.

**მოხსენება თეატრზე**

სექტემბრის 25-ს პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გრიგოლ რობაქიძემ და რეჟისორმა კონსტ. მარჯანიშვილმა წაიკითხეს მოხსენებები თეატრის შესახებ: I „თეატრი როგორც რიტმი“ და „ახალი თეატრალური ძიებანი“.

მოხსენებებს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოთავსებული იქნება ვრცელი ანგარიში, სალამოს შესახებ. და აგრეთვე თვით მოხსენებანი გრ. რობაქიძის „თეატრი როგორც რიტმი“ და მარჯანიშვილის „ახალი თეატრალური ძიებანი“

**მხატვარი დავით კაკაბაძე.**

მხატვარს დავით კაკაბაძეს გამოუცია პარიზში ორი წიგნი ფრანგულად. პირველად წიგნში მოცემულია ფუგიზმის განხილვა. წიგნის სათაური— „ეგრედ წოდებულ გაკეთებულ სურათის შესახებ“ მეორე წიგნი: რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ მხატვრობაში“ პირველი წიგნი უკვე მოვიდა ტფილისში.

## ქართულ რეგალიების ჩამოტანილი ნაწილი.

რუსეთიდან ქართული რეგულიების და სიძველეთა სარეევაკუაციო კომისიამ ჯერ-ჯერობათ ჩამოიტანა ნაწილი ქართული რეგულიების: 1) არჩილ II ის დიდი სამეფო დროშა, შვინდისფერი, ბაგრატიონების სამეფო ნიშნებით; ტრაქტატი 1783 წ. თავისი ბეჭდებით, დაწერილი ძვირფას პერგამენტზე; თავისი ბეჭდებით, ფარი რომელიმე ქართველი მეფის ანუ ქართველი დიდებული მინიატრულ სურათები თეიმურაზ პირველის, შაჰაბაზ პირველის მეფე კონსტანტინე II კახთა მეფისა, იმამყულიხანის, ირაკლი I ნაზარალიხანის და თეიმურაზ II-ისბატონიშვილობაში. ამ ნივთებთან ერთად ჩამოტანილია ძვირფასი მინიატურებით შემკული და ოქროს სინგურით დაწერილი XVII ს. “ვეფხის ტყაოსანი“ საკუთრება საქართველოს უკანასკნელი სამეფო კარის.

ყველა ეს ნივთები დროებით დაცულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში.

**ის. კვიცარიძის ლიტერატურულ კოლლექციის შეძენა მთავრობისაგან.**

მთავრობის თავჯდ. ს. ქავთარაძემ დაამტკიცა ალმასრ. კომიტ. დადგენილება ბ. ისიდორე კვიცარიძისაგან შეძენა ყველა მიმართულებათა ქართულ პერიოდულ გამოცემების და ქართველ და უცხო მწერალ მოღვაწეთა სურათების. მთავრობამ უკვე გადასცა ბ. კვიცარიძეს ორასი მილიონის ავანსიდან ასი მილიონი მანეთი. ბ. კვიცარიძე აპირობს შეუდგეს მთელ საქართველოში ძველ ლიტერატურულ განძეულობის შეკრებას.

მისამართი: ქუთაისი გაზეთების სააგენტო „იმერეთი“ თბილისი ბ. ჰიჰინაძეს, გ. გაჩეჩილაძეს, ვ. გადილიას.

(დაწერილია პერგამენტზე), „ავგაროზის“ ხელთნაწერი და ქართველი მეფე გამოტანილ დადგენილებით და სრ, რუს. ცენ. აღმ. კომიტეტის 29 აგვისტოს სხდომაზე შემუშავებულ საბოლოო რედაქციით ეს საკითხი შემდეგნაირად იქნა გადაწყვეტილი და ჩამოყალიბებული: **„საქართველოს ყველა რეგალიები და სიძველენი რომელიც ინახება საბჭოთა რუსეთის მუზეუმებში და სიძველეთა არქივებში, სახალხო განათლების კომისარიატის და ცენტრარქივის მიერ მათი ქართული შთამომავლობის და დასტურების შემდეგ გადაეცეს საბჭოთა საქართველოს“**

ამგვარად საკითხი საბჭოთა რუსეთის უმაღლეს ორგანოში გადაჭრილ იქნა ჩვენ სასარგებლოდ.

სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის 20 ივლისის დადგენილების თანახმად მე უკვე მივიღე ზოგიერთი სიძველენი, რომელიც ჩამოვიტანე თბილისში და გადაეცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. ესენია შემდეგი: რუსეთ საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ ხელშეკრულების ტრაქტატის ქართული ორიგინალი, ერეკლე მეორეს მიერ დამტკიცებული. „ვეფხის ტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი (17 საუკუნისა), საქართველოს ძველი აბრეშუმის დროშა, ძველი ქართული ფარი, 12 საუკუნეში გადაწერილი სახარება ების აკვარელით ნახატი სურათები, მათ რიცხვში შეცდომით შოთა რუსთაველის სურათად ცნობილი, შახაბაზის პორტრეტი.

პირველი რიგში, დაზამთრებამდე ჩვენ ვფიქრობთ ჩამოვიტანოთ ჩრდილო-კავკასიიდან 1914 და 1915 წლებში გატანილი არქივები და სამუზეუმო კოლექციები, რის ნებართვასაც ჩვენ უკვე მივიღეთ.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ სიძველეთა ჩამოტანას, რომელიც სხვა და სხვა დროს იქნა გატანილ რუსეთს, ჩვენ ვფიქრობთ ამ საკითხის გადაწყვეტას 1923 წლის პირველ ნახევარში იმ დაბრკოლებების მიუხედავად, რომელსაც ჩვენ შევხვდებით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მხრივ.

უკანასკნელ კატეგორიიდან ყველაზე უფრო ძვირფას კოლექციად ითვლება: თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი ბიბლიოთეკა. რომელიც ინახება სამეცნიერო აკადემიის აზიურ მუზეუმში და მეორე იოანე გრუზინსკის მდიდარი ხელნაწერი ბიბლიოთეკა.

ყველა ეს მდიდარი საისტორიო მასალები არა თუ გამოყენებული და შესწავლილი არ არის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ არამედ კატალოგიც კი არ არსებობს. ცხადია თუ რამდენათ აღნიშნული ძველი ქართული კოლექციები, რომელიც ოდესღაც გადაეცა მათი მეპატრონეთა სიკვდილის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკას და სამეცნიერო აკადემიის აზიურ მუზეუმს, შეადგენენ აღნიშნულ სიძველეთა არქივების და რუსული მეცნიერების **ორგანიულ ნაწილს**.

ზედმეტია ლაპარაკი საქართველოს კულტურის დანარჩენ ძეგლების შესახებ, რომელიც გაბნეულია საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში ყაზანში, კიევში, ლივადიაში და სხვ.) და რომელიც წარმოადგენს საქართველოს შესასწავლის მკვდარ კაპიტალს. ცსადია აგრეთვე, რაოდენად აუცილებელია აღდგენილი მასალები ტფილისის უნივერსიტეტის საქართველოს სამეცნიერო შესწავლის ამ ახალ ცენტრის ყოველდღიურ მუშაობისთვის“

(„კომ მ“)

# პრესსა

**ნ. ზომლეთელის საღამო**

გაზ. „Заря Востока“. № 85 სწერს, „მესამე დღეა რაც ქართველმა პოეტმა ნ. ზომლეთელმა პროლეტარული პოეზიის საღამო გამართა. საღამოზე გამოვიდნენ თითონ ნ. ზომლეთელი, სანდრო ეული, იონა ვაკელი და სხ.

საღამომ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა: არაფერი პროლეტარული საღამოზე არ ყოფილა. ნ. ზომლეთელი კითხულობდა თავის ნაწერებს გლეხის ყოფა ცხოვრებიდან და პირდაპირ გვაოცებდა თავისი პრიმიტიობით და ტრაფარეტით. ჩვენ გვცხვენოდა იმ ადამიანის, რომელიც 1922 წ. პროლეტარულ პოეზიის სახით საზოგადოებას სთავაზობს დიდი ხნით ნაცნობს და საიშვიათოდ უსუსტეს, ლექსებს.

რომ ილაპარაკო პროლეტარულ პოეზიაზე, ჯერ უნდა იცოდე და გესმოდეს იგი, ხოლო ზომლეთელს არა აქვს არც ცოდნა და არც გაგება პროლეტარული შემოქმედების. ეს მან ზედმიწევნით გვიჩვენა თავის შესავალ სიტყვაში.

ადგილების ფასები ძალიან ძვირი იყო და შთაბეჭდილება იყო ისეთი, თითქოს საქმე პროლეტარულ პოეზიაში კი არ არის, არამედ კარგს „სბორში“ —

# მოგონებები და დოკუმენტები

## მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე

თელავის სასულიერო სასწავლებლიდან ვაჟა-ფშაველა გადმოვიდა გორის საოსტატო სემინარიაში დაახლოვებით 1879 წელს. საკმაო ინტელიგენცია იყო გორში, საკითხი წიგნები ბლომად, როგორც ჩემსა, ისე მათე კერესელიძის ოჯახში, ამიტომ ახალგაზდა მოსწავლენი, უკვე ლაჭაბუკებულნი, გვიახლოვდებოდნენ და მიჰქონდათ წიგნები. ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ამხანაგები ჰყავდა, რომელთაც ასე თუ ისე იჩინეს თავი ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მისი კურსის ამხანაგები იყვნენ: ბელეტრისტი თეოფილე ხუსკივა ალექსანდრე ნათაძე-პედაგოგი და მწერალი, ნიკო ლეონიძე, პოეტის გიორგი ლეონიძის მამა, ალ. ციმაკურიძე და სხვა. განსაკუთრებით დაახლოვებულნი და განუყრელნი იყვნენ ვაჟა და ნიკო ლეონიძე. ყველანი ნიჭით მოსილნი იყვნენ, ბეჯითნი და წიგნების კითხვის მოყვარულნი. მათდა საბედნიეროთ ქართული ენის მასწავლებელნიც მადლიანი ადამიანები შეხვდნენ: არისტო ქუთათელაძე და მის შემდეგ მიხეილ ყიფიანი, მაშინდელი ხალხოსნურ მოძრაობის ერთი ბელადთაგანი, კაცი დიდ ზნეობიანი, გატაცებული ახალი აზრებით და მჭერმეტყველი აი ამათ დიდი გავლენა იქონიეს მაშინდელ სემენარიელებზე; ყიფიანიც ცოლშვილით დასახლდა გორში და ახალგაზდა მოსწავლეებს მითი შეემატათ ერთი ინტელიგენტი ოჯახი ყოველ საღამოს რომელიმე ოჯახში იყო კრება და იკითხებოდა სხვა და სხვა წერილები, და იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მაშინ გორი იყო ბუდე ხალხოსნობისა და რუსების რევოლიუციონერებისა. აი ამ წრეში მოჰყვა ვაჟა-ფშაველა, რომელიც გვაკვირვებდა თავისი ნიჭითა. მას ყიფიანმა მოამზადებინა რამდენიმე ისტორიული რეფერატი-თამარ დედოფალზე, ვახტანგ გორგასლანზე, და სხვ. რასაკვირველია, რეფერატი იშინჯებოდა ყიფიანისაგან. ვაჟა კითხულობდა ამ რეფერატებს ჯერ ამხანაგებში კლასში, შემდეგ ოჯახებში. ერთის სიტყვით ვაჟა სემენარიაში განვითარდა ჭკუით და გონებით. სემენარიაშივე დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ მაშინდელი მისი ლექსი დაბალი ხარისხისა იყო, მხოლოდ რიფმების შეკოჭვა იყო, და იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში.“

სემინარიის დამთავრების შემდეგ ერთი თუ ორი წელიწადი მასწავლებელი იყო, შემდეგ გაჩნდა გორში, გორის ინტელიგენციას მაშინ მოწყობილი ჰქონდა სცენა საქალაქო ბაღის როტონდაში, წარმოდგენები იმართებოდა რეგულიარულ და გადარჩენილს ფულით ვეხმარებოდით ჩვენს ღირიბ სტუდენტობას! აი ჩვენ ვურჩიეთ ლუკას წასულიყო უნივერსიტეტში და შემწეობა აღუთქვით. წავიდა, ჩვენ, რაც შეგვეძლო, ვეწეოდით, როგორც მას, ისე სხვებსა, მაგ. გრიგოლ ყიფშიძეს-ესეც ვაჟასთან ერთად იყო პეტერბურგში უნივერსიტეტის მსმენელად, ნიკო კ ა ს რ ა ძ ი ს და სხვ.

ვაჟამ დაჰყო პეტერბურგში, მგონი ორი წელიწადი, იგი განვითარდა, მსოფლმხედველობა გაუფართოვდა და დაბრუნდა სრულიად მოწიფული.

დაბრუნებისას ის ისევ გორში გაჩნდა, აქ იგი მიიწვია კოტე ამილახვარმა თავისი დისწულს გიორგის მასწავლებლად. ეს მდიდარი ოჯახი ძალიან სტუმრიანი იყო, მუდამ მეჯლიში და ღრეობა ვაჟას? მღელვარე ბუნება აჰყვა ქეიფსა. ერხელ გადაკრული მოვიდა თავის მოწაფე გიორგით და მხლებლებით გორს როტონდაში, სადაც იმ დროს რეპეტიცია გვქონდა. როტონის თეატრის გამგებლად იყო ნიკო დიასამიძე, კაცი ბუნებით ერთობ სჲრი და აჩქარებული. შეიქმნა ხმაური! როტონდის აივანზე, გადაკრული ვაჟა იწევს დარბაზისაკენ, დიასამიძე არ უშვებს. გაჩნდა ჩხუბი, რომლის დროს ნიკომ და ვაჟამ ერთმანეთს დაჰკრეს.

ეს გარემოება ორთავეს შემდეგში ფრიად სამწუხაროდ დარჩათ.

დიდხანს არ დარჩენილა ვაჟა ამილახვრიანთან. მიმართა თვის ფშავეთსა, მიაგნო თავის ნამდვილ ბინას და იწყო წერა. როგორც მახსოვს, ვაჟას პირველი ნაწარმოებია "შვლის ნუკრის ნაამბობი," რომელიც საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა. შემდეგ განუწყვეტლივ მოჰყვა მისი ლექსი ფშაულ კილოზე. შეიქმნა ახალი დარგი პოეზიისა. პირველში მის კილოს ვერ შეეგუა მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ძალიან მალე ვაჟა სათაყვანებელი გახდა. მის კილოს უკვე იცნობდა საზოგადოება რაფიელ ერისთავისა და ბაჩანისგან (ნიკო რაზიკაშვილი, ვაჟას შემდეგი ძმა.) ვაჟამდე ფშველის ახალს კილოზე ბაჩანამ იწყო წერა, გაიხსენეთ მისი „მუხა“ „სიმღერა“ და სხ.

მაგრამ ვაჟამ ყველას გაასწრო. ბედაური და დალოცვილი ჯიშის იყო იგი. წვრილ ლექსებს-„სიმღერებს,“ მიყვა ზედიზედ მისი მსხვილმანობა-პოემები.

„ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველი ჭამია“ წაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილ იყო იგი საზღვარ გარეთ განსავითარებლად, ევროპიული განათლების მისაღებად.

ილია ჭავჭავაძემ თურმე ხელები გაასავსავა, ვაი შენ ჩემო თავო! ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დავკარგამთ ამ დიდის ნიჭის პატრონსა; ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზე ჩამოჰკიდებსო!.. დაანებეთ თავი, იყოს თავის ფშავეთში და განაგრძოს თავისი შემოქმედებაო.

ასეც მოხდა. ვაჟას დიდებული პოემების დაბეჭვდის შემდეგ ილიამ თურმე სთქვა: „ჩვენ მოგნილი პოეტები ვართ, აი პოეტი ვაჟაა, რომელმაც მთელი მთა აალაპარაკა, სიპ ქვასაც კი ხმა ამოაღებინაო.

დასავლეთ საქართველოს მკითხველებს ეხამუშებოდათ ვაჟას სტილი! აკაკისაც არ მოსწონდა, ხშირად ატყდებოდა ხოლმე მასთან დავა ვაჟას გამო. მაგრამ ყველას ენა ჩაუგდო გრიგოლ რობაქიძემ,

მისმა მადლიანმა ლექციამ ვაჟაზე, მისმა საოცარმა გარჩევამ პოემის „გველი ჭამიასი„ და ვაჟას შემოქმედებაზე; ხრიგოლმა შუქი მოჰფინა ვაჟა ფშაველას და იმის შემდეგ ვაჟაც ერთი ორად დაფასდა..

**სოფრომ მგალობლიშვილი.**

განჰქრივნა ვარდნი სატრფონი არღარა ჰყვავის იანი,
განმწარდა ყოვლნი შვებანი ტკბილნი საამო კმიანი,
აწ საწუთროსა მდურავი, ვჰსტირ უბედური დღიანი,
ვაჲ დაბნელდით თვალნო მტირალნო ჰხედავთ რას გან-
საცვიფრებსა

მიგლოვდით მეცა...
აწჳე ჰშთასრულსა...

დ. დახდა მზე იგი აზიით აწ ჩრდილოთ მოეფინება,
მიგვიხვნის მჰსწრაფლად მთიებნი ვით უძლოს გულმა თმინებ
არ დაჰსცხრა ჩვენზე მარადის, სოფლის საცთურთა შინება
ამად მაქვს თვალთა მარადის სისხლისა ცრემლთა დინება,
ვა მე მას აქეთ ცოცხალსა არღარა მომელხინება,
თუ (ნუ) ვინ ეტრფობით სოფელსა ნიადაგ მუხთლად
მტირებსა.

მიგლოვდით მეცა...
აწჳე ჰშთასრულსა...

ე. რა ითნო დიდმა მთიებმა, მაღალ გჳარ მტილთა
შლილობა,
დაშინდა ხმელთა არენი, არღარ აქჳვთ ვარდთა შლილობა,
აწ იწყო ჩვენდა მარადის ქუფრმა ღრუბელმა ჩრდილობა
ჰსცანით ყოველთა ესე არს, სოფლის ჰქცევა და ზრდილობა,

მიგლოვდით მეცა...
აწჳე ჰშთგსრულსა...

## მარიამ ბატონიშვილი

ყაბარდოს იყო ერთი მზე, ბრწყინვალე მანათობელად.
მისივე ხანთა ასული, ვინ არის ჩერქესთ მფლობელად.
რძლად მოუწოდა მეფემან პალატის შესამკობელად,
იესოს ქრისტეს სძლათ ექმნა, უმანკო დაუჭნობელად.

იქმნა ქალწულთა მოდასათ სიწმინდით სახელიანად,
იგი სოფლისა მნათობი ვარდი ყვავოდა იანად.
დასთმა სოფლისა დიდება, ედემის ტახტს ზის სვიანად,
აწ რა ქნა მისგან მშობელმან, ნახვა მიხვდების გვიანად.

წარმოვსთქვა მისი შვენება თუ მიხვდეს ჩემი გონება,
ხელ მკლავთ ნაზად გაზიდ გაზიდვა, შავთა წამწამთა
ქონება,
უსინჯოს პირის მხატვრობა ჩინელთაც მოეწონება,
ვისთვის გასწირა სიცოცხლე მკერდს ველარ დაეკონება.

ეთხოებოდა სოფელსა ქვეყნად მნათობი მზეოდა.
აწ დაუტეო სოფელი სად ვიმყოფები მეო და
სად არის ჩემი დიდება, ლომ გულო მეფის ძეოდა
ველარ მიხილვენ მშობელნი, ჟამი მაქვს მცირე დღეოდა.

დაელულნეს მელნის ტბანი, ინდოელნი სცვიდენ ჯარად,
ლალთა კარი დაერაზნეს, ელვა კროთობის აღარ ჩქარად,
ენა ტკბილად მოუბარი აღარა ხმობდა ნარნარად,
ბროლის თითნი დაეკრიფნეს, ქაღალდზედან დასაფარად.

მეფე მიბრძანდა კრებულით, ახლდნენ მნათობნი ასული,
მისი სანდომი მშვენება ვით დავთმო სოფლათ გასული,
ჵი, საბრალონო მშობელნო, ის (იგი) ვისი იყო ასული,
ველარა გნახოს მამამა ყაბარდოს შიგან მისული.

თვით დედოფალიც ნარნარად სალმობით ხმობდა ამასა,
მელნის ტბაშიგან ნადები, ვარდი დაელტო ნამასა,
ბრძანა უშენოდ მნათობნი, ველარ მისცემენ დრამასა,
შენის მეტი არა ყავს რა, შენგან ბნელ ქმნილსა მამასა,

## საქმროსთან.

სატრფოთ მქონდა თქვენი ხლება, ხემწიფის შვილო სვიანო,
მსურდა თქვენი სიახლოვე, ტანად ალვისა ხიანო,
ტან ახოვანო ჭაბუკო, მებრძოლთა თქვენთა ზიანო.
ნუ დამივიწყებ შენთვის მკვდარს, მეფის ძე დავითიანო.

დაეფლა მიწას მნათობი, ყაბარდოს მთავრის ასული,
ბაგე ლალისა მბაძავი, ნაზი ნარნარად მზობელი,
იაგუნდისა ბაგესა შიგ მარგალიტი წყობილი
ედემის სიტყვით ველარ სძლობს იქმნა სოფლისგან ჭნო-
ბილი.

მეფის ირაკლის ასულის იოანე მუხრან ბატონის მეუღლის ქეთევან ბატონიშვილისაგან თქმული. გაფი დუგაში სათქმელი, გაფი აქვს თათრული, რომლსა იხტელათი ქართულებრ შეექცევა.

ა. ჵი ვითარ ვჰსთქჳა განსაკთრობელი.
ჩემი სიცოცხლის, დამაცხრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე, მცირე ღრუბელი,
აზიის მთების დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი.
შჳცნიერთ წალკოტთ არ მფურჩნებელი
ჵი ვითარ.,.
ჩემი სიცოცხლის...

ბ. ალმოფხჳრნა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი,
ალარ ჰყჳავიან ზამბახნი ვარდნი,
განჰქრივნა ყველგნით. ჰმკლავს მათნი დარდნი,
მათი მგონები, აწ გულო დადნი,
არ გაქვს წამალი მამთელებელი.
ჵი ვითარ...
ჩემი სიცოცხლის...

გ. ზოგნი დაფარნა თვისით ნისლითა,
ზოგნი დილეგთა, არვინ უშლითა,
მეცა მეწია ბედით ჩემითა.
მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
მათთვის ცეცხლითა, არ მწჳავს ნელითა
ვინცა არს ჩემი მაცოცხლობელი
ჵი ვითარ...
ჩემის სიცოცხლის...

დ. გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცჳცლობენ.
სხჳუა და სხჳა ჰაზრით გჳცლებრ ჰრელობენ,
არ მცემენ ნუგეშს მსწრაფლად მწყრალობენ.
მათნი მახვილნი გულსა მჰრელობენ,
კჳლავ სხჳანი მოვლენ სადგურს მცჳცლობენ.
მჰმუნვარის გულის დამწყლულებელი.
ჵი ვითარ...
ჩემის სიცოცხლის...

ე. არ დამაჯერეს აქ პატიმრობას,
ესდენ უწყალოდ განაწირობას,
უთმინოს სევდით გულის შეპყრობას,
მჰსწრაფლად მპირდება ჩრდილოთ მგზავრობას,
უცხოს მწირს ადგილს, გრძლად სადგურობას,
მიყსვე სიკჳდილს ვარ მე მახლობელი
ჵი ვითარ...
ჩემის სიცოცხლის...

ვ. აწ მე მიგლოვეთ სატრფონო ძმანო,
ყოველნო მოყჳასნო და ზრდილნო ყმანო.
ვაჲ მათთანა, შვების აღთქმანო,
აწლა სადა ხართ გლოვისა ხმანო,
სადავითოსა, მტილს შინა თქმანო,
უნუგეშოდ არ დასათმობელი
ჵი ვითარ...
ჩემის სიცოცხლის...

ზ. რად არ დაგვიწყდი ჵი სოფელო,
არ ხანიერო ცუდ საყოფელო,
მცირის ჟამისავ, არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ, ცუდ საყოფელო,
აგრამ ბედნიერთ პირთ დამყოფელო
ვინც არ გენდობის ვარ მადლობელი

ჵი ვითარ...
ჩემის სიცოცხლის...

სანატრელს მეფის ირაკლის ასულის თ ე კ ლ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ თქმული. გაფი. ქეთევანს თავის დას პასუხს უგებს ამ ლექსით

ა. რად გიკვირს პატიმარს, მწუხარებანი,
მცირეს ხანს, ლხინთა გამწარებანი,
თუმცა იხილეთ, მნათობთ ვნებანი,
იერქოს ვარდთ, უცხოდ რებანი,
ნაზთა იათა, ცრემლით ვჰსებანი,
ვითმინონი ოხრვით, სულთქმა ვებანი.
რად გიკვირს....

ბ. ჰსტირ შესაწყალოდ, წალკოტთა ჰრგულთა,
შჳცნიერთ ვარდთა, ედემით სხმულთა,
ზამბახთა თხზულთა, უზადოთ მკულთა,
თვისთა მამულთა, აწ განკარგულთა,
არ ჰსცემს ლხენასა, მცირეს ჟამს გულთა,
მწადს სევდით მოცულს, ველად ჰრბენანი.
რად გიკვირს....

გ. იგლოვ მაღალს ტახტს, ვაჲ წახდომილს,
დიდებულს პალატს მჰსწრაფლად დამხობილს,
შჳცბა სიხარულს, ტრფობით შემკობილს,
ეტლ დაბრუნებულს, მოყჳსთ განგმობილს,
გსურს მყის სიკვდილი, გულ ლახვარ სობილს.
არღარა გნებავს, სიტყვის გებანი,
რად გიკვირს...

დ. ჰგოდებ სიმწარით, მრავლად ტირებსა,
მსმენთაგან ძნიად, გასაკვირებსა,
უთმინოდ სულ თქმას, განსახშირებსა,
სიცოცხლისაგან განზიარებსა,
ყოვლთა მტერთაგან დასატირებსა,
ნუ ჰსწუხ დაშრტება, ცეცხლთა დებანი.
რად გიკვირს...

ე. ჲე გულო რად გაქჳს, ასდენ წყინება,
მარად სისხლისა, ცრემლთა დინება,
გუშაგთ სიმრავლით, თჳალთა ჴინება,
მათგან უწყალოდ, ჭირთა ჰსმინება,
რადგან ჩრდილოთ მზემ, ესრეთ ინება,
კრძალვით ითმინე, სახმელთ გზნებანი.
რად გიკვირს....

## მარიამ ერისთავი

(ნაწყვეტი)

ტაძარო, ვრცელო, რავდენ საგანთ ხარ დამსახველი,
რავდენთა სპეკალთ უძვირფასეს თვის შორის მცველი,
შენში ცხოველობს ქსნის ერისთავთ დროები ძველი,
მათი სიწმინდე და სიმდიდრე, ნიჭი ყოველი!
მაგრამ ეგ შენი თვალთ საამო ძველ სახეობა,
და აწინდელი სავალალო მდგომარეობა,

წარსულთა დროთა მოგონება სიზმრებრ მსვლელობა,
ალმავსებს ჭმუნვით და მაკლდება სულის მხნეობა.
რომლით, ტაძარო შენი ჭვრეტა, შენი ყურება,
თუმც თვალთა ჩემთა განუწყვეტლად არ მოსწყინდება,
მაგრამ რას ვხედავ? აწ დარღვევა (შენ) გემუქრება,
და მისთვის ნისლი მჭუნვარების არღა მშორდება.
თუმც დრო მან თვისის ჩვეულებით გყო მიძველებულ
გარნა შენ იმა ხელოვნებით ქმნილხარ აღგებულ,
იმ სიმეტრიით და ჩუქურთმით დანაკვეთებულ,
რომ ნაქცევნიცა იქმნებიან შემდეგში ქებულ.
მაშინც ტაძარო მაგა შენსა სახეს დიდებულს,
იოანესგან ძველად შემკულს და განახლებულს,
ივერთ ერისთავთ, ერისთავად გვარ სახელდებულს,
ნგრეულთა შენთა ნაშთთა ზედან ჰყოფ გარდაღებულს.
მაშინც იქნების მხილველთაგან მწარ დაცრემლილი,
შენთა დახავსილთ ქვათაზედან კვლავ დაშთენილი,
სახელი ესე წარსაკითხად გამოწერილი
რომლისაც მტვერი შენს კალთებში არს მოფენილი.
მაგრამ მრავალნი შენებრ სხვანიც აღშენებულან,
სახელოვანის მამაცობით როს ყვავებულან,
დიდებისათვის მამულისა მრავლად ვნებულან,
და ერთ მეორეთ თვისთა ზედან მით სხვავებულან.
შენში ტაძარო ვითა ძეგლის აღმართულება
სად წარიკითხავს მათ მამაკაცთ დიდებულება.
რომელთ გენიით ელვარებდა დატვირთულება,
და ბუნებისგან ჩამოსირვით ნიჭებულება.
ესრეთ სჩანს შენში თვითეულნი მათნი სახენი.
რომელთ მსგავსებას ძლივ შეადგენს საუკუნენი,
გონება ვრცელნი, აღსარიცხვნი ვით ფენომენნი,
უბრყვლოდა მქცევნი სიბრძნის სხივის მზეებრ გამფენნი.

რედაქტორი: გიორგი ლეონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს. მ. უ. ს.

## ცენტრალური სავაჭრო სამართველო

**უნივერსალური მაღაზიები № 1 და 3**

1) სომხის ბაზარი (ქარვასლა ყოფ. მანთაშევი) 3) სასახლის, 8 (ყოფ. ალშვანგის)

შემოდგომის სეზონისთვის

მიღებულია საქონელი ბითომით და გამოვიდა გასაყიდათ

შალის ქოვილი

შევიოტი ყველა ფერების დრაპი ვაჟების და ქალების პალტოებისთვის შალის მატერიები ვაჟთა და ქალთა კოსტიუმ. კუპონები მამაკაცთა კოსტიუმ.

აბრეშუმი:

აბრეშუმების კრეპონი „დიუშესი“ და სხვ.

ტრიკოტაჟი:

ჟაკეტები „პაულა,“ აბრეშუმის, საზამთრო ყველა ფერების „ „ მსუბუქი„ „ „ შალის, ბავშვების და ქალების სვესტები შალის, ქალთათვის, ბავშვების, ვაჟების ჩულქები აბრეშუმის, ფილდიკოსის-ყველა ზომის და ფერების-ქალთათვის და ბავშვებისთვის. ნასკები მამაკაცისთვის, ფილდიკოსის ყველა ზომის.

## დიდი არჩევანი:

ქაღალდის ქსოვილები

ბატისტი ჩითი, რენო ბუმაზეია. გრისბონი ფლანელი, მადეპალამი, შოტლანკა სატინი,

### შეკერილი საცვლები მამაკაცისთვის

ჭურჭელი

სამზარეულო, მინანქარით სასადილო ყოველგვარი შუშეულობა

გალანტერეია, პარფიუმერია (სანელსაცხებლო) შეკერილი ტანისამოსი:

მამაკაცების შალის კოსტიუმი ტყავის კოსტიუმების კომპლექტი პალტოები ქალების და მამაკაცების

შეკერილი ფეხსაცმელები ქალთათვის

მამაკაცისათვის **საკუთარი სახელოსნოში მიიღება შეკვეთა ყოველგვარ ფეხსაცმელზე**

**მაღაზია № 2** ქარავან-სარაი ტამამშევისა

კონიაკები და არაყი სარაჯევისა „არგო“

**თუთუნი** საბჭოთა ყველა ქარხნების.

**პაპიროსები** სოლიდნი, საბჭოთა, ეგიპეტსკი, დელიკატეს, საფო, არისტოკრატიული და სხვ.

მიღებულია ახალი საბჭოთა პაპიროსები ფასებიზომიერია.

პროფკავშირის წევრებისთვის 10 პროც. დაკლებით.

# ს. ს. ს. რ.

## სახელმწიფო ღვინის-სპირტის და კონიაკის ტრესტი

### ს. მ. უ. ს

**თბილისი, სასახლის ქ. № 6.** **ტელეფონი 16—52**

სახღვინტრესტი ჰყიდის განუსაზღვრელ რაოდენობით ყველა მსურველთათვის, თავის ცნობილ ქარხნების ფაბრიკატებს, რომელნიც მუშაობენ დიდის წარმატებით.

ქარხანა № 1 (ყოფილი დ. ზ. სარაჯიშვილი)
„ 2 ( „ ამხ. „არგო“
„ 3 ( „ დ. ე. კალანდაძე)
„ 4 ( „ სოგომონოვი გომში)
„ 5 ( „ პროტცერი აბასთუმანში)

**პრეისკურანტი მოქმედი ა. წ. 1 სექტემბრიდან.**

**ფასები გადახდილ აქციზით**

| | | 1 ვედროზე | 1 ბოთლზე |
|---|---|---|---|
| 1. სპირტი გაწმენდილი | 95—96° | 2. 500. 000 მ. | |
| „ „ | 1 \| 4 | 2. 800. 000 „ | 700. 000 მ. |
| „ „ | 1 \| 20 | 3. 200. 000 „ | 160. 000 „ |
| 2. არაყი პურისა | 1 \| 20 | 1. 400. 000 „ | 70. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 1. 600. 000 „ | 40. 000 „ |
| 3. კონიაკი ყოფ. სარაჯიშვილის | | | |
| ფირმისა O. C. | 1 \| 20 | 3. 300. 000 „ | 165. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 3. 600. 000 „ | 90. 000 „ |
| „ 4 | 1 \| 20 | 2. 900. 000 „ | 145. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 3. 200. 000 „ | 80. 000 „ |
| „ 3 | 1 \| 20 | 2. 700. 000 „ | 135. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 3. 000. 000 „ | 75. 000 „ |
| 1/2 კონიაკი ყოფ. ამხ. „არგოსი“ | | | |
| „ ფინშამპანი | 1 \| 20 | 3. 300. 000 „ | 165. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 3. 600. 000 „ | 90. 000 „ |
| „ 4 3 ას. | 1 \| 20 | 2. 800. 000 „ | 140. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 3. 000. 000 „ | 75. 000 „ |
| „ 3 | 1 \| 20 | 2. 600. 000 „ | 130. 000 „ |
| „ „ | 1 \| 40 | 2. 800. 000 „ | 70. 000 „ |

**ჭურჭლისთვის და ჩალაგებისთვის იხდიან ცალკე.**

ტრესტი იძლევა თავის ნაწარმოებთა მაღალ ღირსებობის გარანტიას. საქარხნო ეტიკეტების გარდა ნაწარმოებს ზედ აკვრია განსაკუთრებული ქაღალდი სახელმწიფო ღერბით. ფალსიფიკატორებს სახღვინტრესტი სასტიკად სდევნის.

# ს. ს. ს. რ.

კონტრსააგენტო

## ცენტროტრამოტა ს. მ. უ. .

აწარმოებს ოპერაციებს:

1. **გადატანა საქონლისა,** ქალაქში სადგურიდან და სადგურზე თავის საბარგო ავტომობილებით და დროგებით.

2. **მიღება და გაგზავნა საქონლისა** საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის რ. ს. ფ. ს. რ. რკინის გზაზე და საზღვარ გარეთ კომისიონურ პირობებზე.

3. **შენახვა ყოველგვარ საქონლისა** და ტვირთისა თავის საწყობებში, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში.

4. **მოლაპარაკების გამართვა რკინის გზის მართველობასთან** და სხვა დაწესებულებებთან საქონლის მიღების და გადაგზავნის შა-სეხებ.

5. **ყოველგვარ დოკუმენტების მოწყობა** ამიერ—კავკასიის რკინის გზის სამმართველოში.

6. **ამიერ-კავკასიის რკ. გზ. და რ. ს. ფ. ს. რ. მთელ ხაზზედ ბარგის მიღება.**

7. საქონლის პატრონების თანხმობით, საკონტრაგენტო კისრულობს სადგურზე საქონლის გაყიდვას და აგრეთვე საკონტრაგენტოს საწყობებში საქონლის მიღების დროს მის საკომისიოდ გაყიდვას,

8. **მიღება დანიშნულ ადგილზე** გასაგზავნ საქონლისა ფრახტის გადახდით.

9. **დღე-ღამის განმავლობაში ვაგონების მიწოდება.**

10. **აგენტები არიან ნათლუხის საბარგო სადგურზე** და ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ სალიკვიდაციო საწყობში.

**ტვირთის გადატან-გადმოტანა** საბარგო ავტომობილებით და დროგებით—კოჯორი—მანგლისი—აბულალი—ეკატერინოფელდი— სიღნაღი—კახეთია—კავკავი.

კონტრსააგენტო პასუხს აგებს თუ ვინიცობაა დაიკარგა, დაიმტვრა, გაფუჭდა ან მოიპარეს მიღებული საქონელი გადატანის დროს. კონტრსააგენტო პასუხს აგებს საქონლის მიღების დროდგან დანიშნულებისამებრ ჩაბარებამდე. აგრეთვე პასუხს აგებს საქონლის შენახვისათვის და ვაგონების ზედმეტ დროს გაჩერებისათვის.

მისამართი: მოედანი. ბერძენთა პასაჟის შუა სართული № 5. ტელეფონის 10—5 კონტორა ღია არის 9—5 საათამდე.

საკონტრაგენტო „ცტემო“ აუწყებს საზოგადოებას, რომ კლიენტებისათვის საქმის გასაადვილებლად თავისუფლების მოედანზე ახლო მომავალში იქნება მოწყობილი საკონტრაგენტოს განყოფილება.

**საკონტრაგენტო „ცტემო“.**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამართველო

ამით აცხადებს, რომ „რკინის გზების სხჯარო ვაჭრობით ტვირთის გაყიდვის წესის“ ძალით შაბათს 6 ოქტ. დილის 12 საათზედ, ოპერატიულ დროთი

**სადგ. ჭიათურაში საბარგო ეზოში დაიწყობა საჯარო ვაჭრობით გაყიდვა გაუტანელ მარგანეცის მადნისა.**

რომელიც იმყოფება სადგ. ჭიათურაში №№ 16, 16ა, 27, 361. 347, 362. 422, 423, 424, 425 და 427, რომელიც ეკუთვნის ქრისტეფორე გრიგორიადს. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს წერილობით და სიტყვიერად. იმ პირებს, რომელთაც ჰსურთ შეიძინონ აღნიშნული მადანი, შეუძლიანთ საჯარო ვაჭრობის დაწყებამდის მიმართონ ამის შესახებ დახურულ განცხადებით სადგურის უფროსს, გასაყიდ ფასის ჩვენებით და შეფასებულ ჯამის არა ნაკლებ 50 პროც. დამატებით. გაყიდულიმარგანეცი სრული ფასის გადახდისას მყიდველი ვალდებულია გაიტანონ არა უგვიანეს შვიდი დღისა.

სალიკვიდ. საქმისწარმოებათა გამგე: **ს. ტ. ვართანოვი.**

# ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო

## კომისარიატი

**ფინანსთა სახალხო კომისარიატი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1922 წ. ოქტომბრის 1-ლს **რესპუბლიკის ხაზინებში, სახალხო ბანკში და მის განყოფილებებში**

### შეწყდება გადაცვლა რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნების, რომელნიც გამოსულია 1922 წლამდე

**სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა,** რომელთაც სურს გადაცვლა რ. ს. ს. რ. ფულის ნიშნების **უნდა მიმართონ გადაცვლისათვის სახ. ბანკს ოქტომბრის 1-დე, მის განყოფილებებს და ტფილისის, ქუთაისის, და ბათომის ხაზინებს,** რომელნიც კასის ანგარიშის გაწევით აწარმოებენ ფულის ნიშნების გამოცვლას ან მისცემენ სათანადო კვიტანციებს.

კვიტანციების მიხედვით დაწესებულებებს მიეცემათ ფული ამავე დაწესებულებებში ფულის დაგროვების რაოდენობით.

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. ხვანიძე**

# ს. ს. ს. რ. ბანკის სავაჭრო განყოფილება

იწვევს მსურველებს ვინც აიღებს **მილიციის ჩასაცმელ-ხურვის საქმეს**

მოლაპარაკება სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებაშ (ლორის მელიქოვის ქუჩა) (3—1)

**ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000.** სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა